# სარბიელი

სპორტული გაზეთი · ხუთშაბათი 24 იანვარი 2002 №8 (1530) · ფასი 50 თეთრი

# პრეზიდენტი, მწვრთნელი და მდივანი წილის მისაღებად წავიდნენ



მერაბ ჟორდანია, ალექსანდრე ჩივაძე და ვალერი ჩოლარია

ხვალ პორტუგალიური პორტუს გარეუბან სანტა მარია დე ფეირაში დიდი შეკრებაა — ევროპის 2004 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა.

კენჭისყრისას ერთ-ერთ ბურთულაში, მეოთხე კალათიდან რომ ამოიღებენ, საქართველოს სახელიც იქნება, წილისყრას კი ჩვენი დელეგაციაც დაესწრება — ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და ნაკრების თავკაცი ალექსანდრე ჩივაძე. ჟორდანია და ჩოლარია პორტუგალიაში თბილისიდან გაემგზავრნენ, ჩივაძე კი მათ კვიპროსიდან შეუერთდა.

მოგეხსენებათ, კვიპროსზე თბილისის „დინამო" გადის შეკრებას და კლუბის კონსულტანტად მიწვეული ნაკრების მწვრთნელიც თან ახლდა. პორტუგალიაში გამგზავრებულმა კი კლუბი ასეთ ვითარებაში დატოვა: საქართველოს ათგზის ჩემპიონმა საკონტროლო მატჩი 1:5 წააგო სოფიის „ლოკომოტივთან", ხოლო შვიდი გასასინჯი ბრაზილიელიდან ოთხი უკვე დაითხოვა.

ალექსანდრე ჩივაძეს, პორტუსკენ მიმავალს, გზად დაეწია ნაკრების წევრთა და მათ გუნდთა გუშინდელი სხვა ამბები:

მისი ნინამორბედის, რევაზ ძოძუაშვილის „ტორპედო" თანამეგობრობის თასის მეოთხედფინალში 1:3 დამარცხდა მოსკოვის „სპარტაკთან"; ალექსანდრე რეხვიაშვილის „სკონტომ" ამავე ტურნირის ნახევარფინალში გაალწია, თუმცა თავად რეხვიაშვილს ტრავმის გამო არ უთამაშია; ასევე კვლავაც დაშავებული არიან გიორგი ნემსაძე, თემურ ქეცბაია და ზურაბ ხიზანიშვილი, რომელთა „დანდი" სქოთურ პრემიერლიგაში „ლივინგსტონს" უნდა შეხვედროდა, მაგრამ მატჩი გადაიდო; სამაგიეროდ, „რეინჯერსმა" სტუმრად 4:2 დაამარცხა „დანფერმლაინი", არადა, 0:2 აგებდა. გლაზგოელთა მეოთხე გოლი კი შოთა არველაძემ პენალტით გაიტანა; არ უთამაშია კახა კალაძესაც, ხოლო მისი „მილანი" იტალიის თასის ნახევარფინალში „იუვენტუსთან" 1:2 დამარცხდა.

# გულნატკენი მუცელნატკენი



კიმ კლაისტერსი





ავსტრალიის ღია პირველობა დასასრულისკენ მიდის. დარჩა 4 ვაჟკაცი და 4 მანდილოსანი, სხვებმა ტრიბუნებს მიაშურეს. მელბურნში გუშინ 30 გრადუსი სიცხე იყო, მაგრამ ცენტრალური კორტი ცოტათი მაინც დაინამა: ამელი მორესმომ ჯენიფერ კაპრიატის ნახევარფინალის გზა დაუთმო და სახეზე ხელები აიფარა ცრემლების დასამალად. ბელგიური დერბი კიმ კლაისტერსმა ჟიუსტინ ენენს მოუგო, ხოლო ვაჟთაგან მარსელო რიოსი და უეინ ფერერა გავარდნენ. ჩილელმა ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ გერმანელ ტომი ჰაასს ხუთ სეტში დანებდა. სამხრეთაფრიკელმა კი მარატ საფინთან ბრძოლის პირველივე სეტში იტკინა მუცელი და კორტი კბილების კრაჭუნით დატოვა.

იხილეთ მეთორმეტე გვერდი



ტომი ჰაასი

# მსოფლიოს ჩემპიონი ბავშვია

წუხელ მოსკოვში არნახული ამბავი მოხდა: ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი 18 წლის ყმაწვილი გახდა. გაუმჯობესდა მიხეილ ტალის და გარი კასპაროვის ასაკობრივი მიღწევები, ორივეს 20-ისთვის გადაებიჯებინა, როცა მსოფლიოს ჩემპიონის დაფნის გვირგვინი დაადგეს თავზე. რა თქმა უნდა, ახალი ჩემპიონი, რუსლან პონომარიოვი არ არის მთლად ჩემპიონი, ის მხოლოდ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის, იგივე ფიდე-ს რჩეული გახდა. ორგანიზაციისა, რომელსაც პლანეტის ორი უძლიერესი მოჭადრაკე, გარი კასპაროვი და ვლადიმირ კრამნიკი არ სცნობენ, მაგრამ ერთგულობს დანარჩენ მოჭადრაკეთა უზარმაზარი არმია.

რუსლან პონომარიოვისა და ვასილი ივანჩუკის ფინალი პირველის ბენეფისად იქცა. ყმაწვილი ბიძაკაცს უჩვენებდა, თუ რას ნიშნავს სოლიდურობა, მაგარი ნერვები და ფართო სადებიუტო არსენალი. ივანჩუკმა ათასი გასაღები მოუსინჯა თანამემამულის კლიტეს, ერთი დებიუტი ორჯერ არ უთამაშია, მაგრამ ვერას გახდა, ხოლო ნორჩმა დნეპრგამოლმა უკრაინელმა, თავის მხრივ, მარჯვედ გამოიყენა გალმელი თვისტომის ორიოდე ჩავარდნა და საჭირო ქულები მიითვალა. საბოლოოდ 4,5-2,5 და დედამიწას ფიდე-ს ახალი ჩემპიონი ჰყავს.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი





რუსლან პონომარიოვმა ჭადრაკი ძალიან გააჭაბუკა

## ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი
ლესტერი 1:3 არსენალი
მესამე დივიზიონი
XXX ტური
ჩელტენჰემი 0:0 დარლინგტონი
ლიგის თასი. 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი
ტოტენჰემი 5:1 ჩელსი (1:2)

## საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
XXII ტური
ბორდო 0:1 სოშო
მონპელიე 0:0 ოსერი
გენგამი 0:0 ლილი
ლიონი 4:0 მარსელი
ბასტია 1:2 მეცი
ლორიანი 2:0 რენი
ტრუა 3:0 მონაკო
სედანი 0:0 ნანტი
მეორე დივიზიონი
XXIV ტური
მარტიგი 2:2 ლე მანი
ისტრი 0:0 ნიმი
სტრასბური 1:0 ნიორი
აიაჩო 1:0 სენტ ეტიენი
ამიენი 3:2 კაენი
ლავალი 0:1 ბოვე
ლე ავრი 3:1 შატორუ
გენიონი 0:0 კრეტეი
ვასკეალი 1:0 გრენობლი

## გერმანია

თასის მერვედფინალი
ბაიერნი 2:1 ვოლფსბურგი

## საბერძნეთი

თასის მერვედფინალი
საპასუხო მატჩი
პანათინაიკოსი 2:1 ირაკლისი (0:1)

## ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
გადადებული მატჩი
რაიო ვალეკანო 2:0 ალავესი
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
ბილბაო 2:1 რეალი
ფიგერესი (III) — დეპორტივო
დღეს გაიმართება

## იტალია

სერია C1/b
გადადებული მატჩი
აველინო 0:0 ლოდიჯანი
თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები
მილანი 1:2 იუვენტუსი
პარმა — ბრეშა
გადაიდო „ბრეშას" ფეხბურთელ ვიტორიო მეროს დაღუპვის გამო

## თურქეთი

XIX ტური
გიოზთეფე 3:1 დიარბაქირი
რიზე 1:1 იოზგათი
ანთალია 2:0 კოჯაელი
სამსუნი 0:2 გენჩლერბირლიგი
გაზიანთეფი 5:2 ტრაბზონი
დენიზლი 1:1 გალათასარაი

## შოტლანდია

პრემიერლიგა. XXV ტური
სელტიკი 2:0 ჰართსი
დანფერმლაინი 2:4 რეინჯერსი
ჰიბერნიანი 3:4 აბერდინი
მაზერველი 2:0 კილმარნოკი
დანდი — ლივინგსტონი გადაიდო

## ბელგია

თასის მეოთხედფინალი
ბრიუგე 1:0 ბევერენი


„სპარტაკი" — „ტორპედო". მასპინძლები ედუარდ ციხმეისტრუკის (ბურთით) გოლით დაწინაურდნენ

# ქუთაისელებმა თანამეგობრობა სპარტაკთან შეწყვიტეს

**ქუთაისის „ტორპედოს"** „სპარტაკმა" სამი გოლი აკმარა და სამი დღით ადრე გამოაშვიდობა ქართველები მოსკოვს.

თანამეგობრობის თასის მეოთხედფინალური წყვილის ფავორიტის გამოცნობას დიდი ძალისხმევა არ სჭირდებოდა. რაღა გასაკვირი იყო, რომ ჯგუფიდან გვარიანი წვალებით გასული ქუთაისელები „სახალხო გუნდს" ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ. თუმც „ტორპედომ" საპატიო ანგარიშით წააგო, ის კი არა, მატჩის ბოლოსღა მოამთავრეს რუსებმა საქმე.

მასპინძლები დებიუტშივე დააწინაურა ციხმეისტრუკმა, შორეული დარტყმით. „ტორპედოს" მეკარე დავით გვარამაძე უცნაურად შეხტა და ისღა დარჩენოდა ბურთი კარიდან გამოეტანა. მე-18 წუთზე კი „სპარტაკმა" პენალტის უფლება მოიპოვა და პარფიონოვმა ანგარიში გაზარდა. რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ამ ორბურთიან შოკს ქართველები ჩვეულ მდგომარეობაში არ ჩაუგდია და 29-ე წუთზე სილაგაძემ პენალტით ერთი ბურთი გაქვითა. მატჩის საბოლოო წერტილი კი შეცვლაზე შესულმა სიჩევმა დაუსვა 83-ე წუთზე.

„სპარტაკი" ნახევარფინალში „კაუნასს" შეხვდება. ლიტველებმა ბალტიისპირულ დერბიში მატჩის შემდგომი პენალტებით სძლიეს ესტონურ „ფლორას".

„სკონტომ" ბოლო თხუთმეტ წუთში შეძლო მებრძოლი „შერიფის" გატეხვა. 75-ე წუთამდე რიგელები 1:2-ს აგებდნენ, მაგრამ ჯერ კოლესნიჩენკომ გაათანაბრა ანგარიში, ბოლო ხუთწუთეულში კი ვერპაკოვსკისმა და ელისეევსმა გაიტანეს და უდავოდ საინტერესო ნახევარფინალური წყვილიც შედგა — „სკონტო" — „დინამო".

ლატვიელების არ იყოს, ფავორიტი კიეველებიც აგებდნენ თურქმენეთის ჩემპიონთან, მაგრამ გამოცდილებამ თავისი გაიტანა და 87-ე წუთზე გუსინმა „ნისა" დააშოშმინა.

ნახევარფინალური მატჩები ხვალ გაიმართება.

**ბაათა კვანტალიანი**

### თანამეგობრობის თასი 2002 (მოსკოვი, 19-27 იანვარი)

მეოთხედფინალი
**სპარტაკი 3:1 ტორპედო**
1:0 ციხმეისტრუკი (6), 2:0 პარფიონოვი (18პ), 2:1 სილაგაძე (29პ), 3:1 სიჩევი (83)
**ფლორა 0:0 (პენ. 1:3) კაუნასი**
**სკონტო 4:2 შერიფი**
**დინამო 3:2 ნისა**
ნახევარფინალი
25 იანვარი
**სკონტო — დინამო**
**სპარტაკი — კაუნასი**

# ფურთხი და ხუთი

## დინამომ ბრაზილია დაასეკვესტრა

**ფრანკ რაიკარდის** უღირსი საქციელი ხომ გახსოვთ — იტალია 90-ზე რუდი ფიოლერს ხუჭუჭა თმას რომ დააფურთხა. გუშინ კი სოფიის „ლოკომოტივის" ერთ-ერთმა მცველმა დინამოელი მიხეილ ბობოხიძე ამოიღო მიზანში. ქართველმა ოდენ ხელის კვრით კი უპასუხა უზრდელ ბულგარელს, მაგრამ მოედნიდან მხოლოდ დინამოელი მიაბრძანეს. ამ მომენტისთვის ანგარიში 1:1 იყო და თბილისელთაგან სწორედ ბობოხიძეს გაეტანა. კაცნაკლულმა „დინამომ" კი ველარაფერი გააწყო და 1:5 დამარცხდა. თანაც ჩვენებურთაგან მიკროტრავმების გამო ვერ ითამაშეს მიქაძემ, კანდელაკმა, გოგობერიშვილმა, სვანაძემ, ხოლო ბურდული ასევე მცირე ტრავმის გამო შეცვალა გივი ნოდიამ. „დინამო" ასეთი შემადგენლობით ითამაშა ბულგარელ რკინიგზელებთან: **ზოიძე, ვანდერლეი, მანწკავა (შავგულიძე), შაშიაშვილი, ვაშაკიძე, ევანდრო, კარლოსი, ამისულაშვილი (შალამბერიძე), დარასელია (სამხარაძე), ბობოხიძე.**

„დინამოში" აღარ ისინჯება შვიდივე ბრაზილიელი, მათი რიცხვი სამამდე შემცირდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დანარჩენი ოთხი „დინამომ" დაიწუნა. დარჩენილი სამეულიდან ვანდერლეი ცენტრალური მცველი გახლავთ, კარლოსი მარჯვენაფლანგელი, ევანდრო კი საყრდენი.

**დავით თავართქილაძე**


მიხეილ ბობოხიძე


„ბაიერნი" — „ვოლფსბურგი". მასპინძელი თომას ლინკე ტომისლავ მარიჩს დაეცა

საქართველოს კალათბურთის ფედერაციას

დიდად დაგვამწუხრა საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ბატონ დადიანის გარდაცვალების ამბავმა. მან თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ჩვენთვის ძვირფას სპორტის სახეობას, კალათბურთს დაუთმო. გთხოვთ მიიღოთ თანაგრძნობა ფიბა-სგან და მიუსამძიმროთ მისი ოჯახის წევრებს.

ბორისლავ სტანკოვიჩი
ფიბა-ს გენერალური მდივანი
პატრიკ ბაუმანი
ფიბა-ს გენერალური მდივნის მოადგილე

რუსეთის კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის დუდუ დადიანის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

ძალიან საწყენია, როცა ახალგაზრდა, ენერგიული და სიმპათიური ადამიანი ნაადრევად მიდის ამ ქვეყნიდან.

ორმაგად საწყენია, როცა სიკვდილი გეწვევა ცივსისხლიანი მკვლელის ხელით, რომელთაც არაფრად უღირთ ადამიანის სიცოცხლე. რუსეთის კალათბურთის ფედერაციის თანამშრომლები თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს. ბატონი დადიანის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ჩვენს გულებში.

ვალერი კუზინი
რუსეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი

საფეხბურთო კლუბი დინამო თბილისი სამძიმარს უცხადებს
დუდუ დადიანის
ოჯახს და ქართულ საკალათბურთო სამყაროს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ვიცე-პრეზიდენტის
დუდუ დადიანის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის
დუდუ დადიანის
ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კალათბურთის ფედერაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს თბილისის „დინამოს" ვეტერანი კალათბურთელის, სპორტის ოსტატის
ვალერი ჯგერენაიას
გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

# დეკანოსიძე მიუნხენელ ლომებთანაც გამოსცადეს



**სწორედ რომ** სულზე მიუსწრო ეუგენ ჰახმა გერმანული „ფიურტის“ ქართველ ნახევარმცველ გიორგი დეკანოსიძეს. შარშან მეორე ბუნდესლიგურ კლუბში „ვიტ ჯორჯიადან“ გადასული დეკანოსიძე ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ჩნდებოდა, წლევანდელ სეზონში კი სათადარიგოთა შორის მოხვედრაც ოცნებად ექცა. პირველი წრის ბოლოს კლუბის ხელმძღვანელობამ მთავარი მწვრთნელი დაითხოვა და მის ნაცვლად ეუგენ ჰახი დანიშნა. მან ჩვენებურს კარგი თვალით შეხედა და წრის ბოლო მატჩში ძირითად შემადგენლობაში ანდო ადგილი. დეკანოსიძემაც გაუმართლა და ჰახს ათქმევინა: „დეკანოსიძე ძირითადში თამაშის ღირსია. ის მზადაა „ფიურტში“ სათამაშოდ“.

პირველი წრის დასრულების შემდეგ „ფიურტი“ რომ ესპანეთში გაემგზავრა საწვრთნელ შეკრებაზე, ადრეც გაუწყეთ. 21 წლის ქართველმა ნახევარმცველმა სამივე ამხანაგურ მატჩში ითამაშა და არცთუ ურიგოდ. სამივე შეხვედრაში თავი აქტიური თამაშითა და რამდენიმე საგოლე პასით გამოიჩინა.

ამჟამად „ფიურტი“ გერმანიაში აგრძელებს მეორე წრისთვის მზადებას. ორიოდე დღის წინ კი ეუგენ ჰახის შეგირდები ბუნდესლიგურ „მიუნხენ 1860“-ს გაეჯიბრნენ. შეხვედრა მიუნხენელთა საწვრთნელ ბაზაზე ჩატარდა. „ფიურტი“ გამოცდილ მოწინააღმდეგეს მედგრად დაუხვდა და პირველი ტაიმის მერე 2:1-საც იგებდა. დეკანოსიძე 58-ე წუთზე მაროკოელი აზუზის ნაცვლად შევიდა მოედანზე. ამ დროისთვის ანგარიში უკვე 3:2 იყო მიუნხენელთა სასარგებლოდ. საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ — 4:2.

ასე რომ, ფაქტია, გიორგი დეკანოსიძეს მთავარი მწვრთნელი ენდობა, მასაც თავის გამოჩენის მეტი არაფერი დარჩენია.

**კახა ზალამბერიძე**

# კაკაშვილს კონტრაქტი დაუგვიანეს

## ჯანაშია ფარმ-კლუბს მიამაგრეს

**საფრანგეთიდან** დაბრუნებულმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ თავის ბინაზე ორიოდ დღე შეიცადა და იტალიისკენ გაეშურა, ამჯერად ქართველის გარეშე წავიდა აპენინებზე სიომინი.

მოსკოვში ვლადიმერ კაკაშვილს, მწვრთნელის მოთხოვნით, ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი უნდა გაეფორმებინა „ლოკომოტივთან“. დღეც დათქმული იყო, მაგრამ...

ჩვენებურს არავინ დაუძახა, გუნდიც მის გარეშე გაემგზავრა. „შენ მოსკოვში დარჩები. ფიზმომზადების სპეციალისტი გავარჯიშებს და საესპანეთოდ გაემზადები“ — სიომინის სიტყვები დამამშვიდებელი კი იყო, მაგრამ იტალიაში თუნდაც შეკრებაზე წასვლა მთლად უკეთესი იქნებოდა კაკაშვილისთვის.

კონტრაქტზე საუბარი კი დროებით გადაიდო და, ალბათ, იტალიიდან „ლოკომოტივის“ დაბრუნების შემდეგ შედგება ხელშეკრულების გაფორმება. მანამდე კაკაშვილი ძველ კონტრაქტში დაფიქსირებული პირობებით ისარგებლებს, რომელსაც ვადა მარტში ეწურება.

რაც შეეხება ჯანაშიას — სიომინმა ზაზა ფარმ-კლუბის თავკაცებს მიაბარა და შეკრებაზეც „ლოკომოტივი 2“-თან წავა. ზედმეტი წონა მოაშორეთ, მოამზადეთ, რათა ფეხბურთელს ჰგავდეს და მეიდველი არ დააფრთხოსო — დაიბარა საიტალიოდ გამზადებულმა რკინიგზელთა თავკაცმა.

**გამუკა კგანტალიანი**

# ნადით თქვენი რუსებიანად!

## მერანს 25 პროცენტიან იურის დაპირდნენ

**გუშინ** „სინათლეზე“ „მერანის“ პრეზიდენტი დავით ფურცელაძე გამოჩნდა და ფულის დარიგების ნაცვლად მწვრთნელ-ფეხბურთელებს კიდევ ერთი კვირით მოთმენა და მოცდა სთხოვა. „ერთ კვირაში თავად იური სევასტიანოვი (კლუბის აქციების 25 პროცენტის მფლობელი) ჩამოვა მოსკოვიდან და თქვენთან ანგარიშს ის გაასწორებს“ — პრეზიდენტს ხეირიანად სათქმელი არ დაემთავრებინა, რომ წინააღმდეგობას მაშინვე წააწყდა. „ან 25-მდე ისტუმრებთ დავალიანებას, ანაც გუნდს ტოვებთ თქვენი რუსებიანად“ — ისევ შეუვალი იყო ვიცე-პრეზიდენტი ანზორ მამალაძე.

სანამ ხელმძღვანელობაში არეულობა-განხეთქილება მძლავრობს, მანამ ოთარ გაბელია გუნდის დაკომპლექტებითაა დაკავებული. გაბელია ცალკე ძირითად გუნდს დაარბენინებს, ცალკეც „მერანში“ მოხვედრის მსურველ უწვერულ ბიჭებს არჩევს. გაბელიამ გუშინ ძირითად გუნდთან ავარჯიშა ყოფილი არმიელი და იბერიელი აკაკი კაკაშვილი. ავჭალაში ვარჯიშობს „დინამო 2“-ის მოთამაშე დავით ტყებუჩავაც.

ჯერჯერობით არაფერი ისმის თურქეთში წასულ ოთხეულზე — დევაძე, გოგიტაძე, ჭინჭარაული და კვეკვესკირი ისევ ანთალიაში იდენენ ოფლს „გოლეადორთან“ ერთად. თურქეთშია „მერანის“ მენეჯერი ვოვა ჩერქეზოვიც, რომელიც თითქოს ანთალიაში ავჭალელთა რუსი მეპატრონეების საძებნელად გაემგზავრა.

**გამუკა კგანტალიანი**



ოთარ გაბელია

# მთიდან ვეშვებით, ბულგარეთს ვეწვევით

## ბალაძემ იტალიელებზე უარი თქვა



ასლან ბალაძე

**საქართველოს** მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდე ჯერ საკმაო დროა დარჩენილი და „ბათუმი“ უკვე პირველ საწვრთნელ შეკრებაზე წავიდა ბაკურიანში. ასლან ბალაძე შეგირდებს დღეში ორჯერ ავარჯიშებს და პირობებითაც ერთობ კმაყოფილია.

— საკმაოდ კარგ პირობებში ვემზადებით. 28 იანვრამდე აქ დავრჩებით, მერე კი ბათუმში დავბრუნდებით — გვითხრა გუშინ ასლან ბალაძემ.

სავარაუდოდ, „ბათუმს“ ორი ფეხბურთელი დატოვებს. შალვა ხუჯაძემ საბერძნეთს რომ მიაშურა, ადრეც გაუწყეთ. როგორც ჩანს, ხუჯაძეს უცხოეთში საქმეები კარგად წაუვიდა. მისი მსურველი კლუბი ნიკოლაოსის „აგიოსია“, სადაც კიდევ ერთი ქართველი, ყოფილი მერანელი ვალერი გაგუა ჩაირიცხა. ხუჯაძეს „ბათუმთან“ კონტრაქტი მაისში უმთავრდება და ყველაფერი კლუბებს შორის მოლაპარაკებაზე დამოკიდებული. მეორე კი კახა სიხარულიძეა, რომელიც მწვრთნელმა დაიწუნა და თამაშს, ალბათ, „ქობულეთში“ გააგრძელებს.

— სიხარულიძე 27 წლისაა და ძირითად შემადგენლობაში სათამაშოდ მზად არაა. მე კი მირჩევნია, სათადარიგოთა სკამზე 18-19 წლის ბიჭები მყავდეს, რომლებსაც თანდათან ძირითადსაც შევაჩვევ და მომავალში გამოგვადგებიან — დაამატა „ბათუმის“ თავკაცმა.

ზღვისპირულ კლუბში იტალიელ ლეგიონერებს აღარ ელიან. ბალაძის თქმით, მას ამის არც სურვილი აქვს და ურჩევნია, პერსპექტიულ ქართველ ჭაბუკებს ენდოს, ვიდრე საქართველოში სათამაშოდ ჩამოსულ უცნობ იტალიელ ფეხბურთელებს შეუმოწმოს სათამაშო კლასი.

ჯერ კიდევ გასარკვევია დიმიტრი ფირცხალაიშვილის ბედი. ეს ახალგაზრდა თავდამსხმელი ზესტაფონის „მეტალურგიდან“ თავისუფალია, მაგრამ კიდევ აკვირდებიან. თუ იგი მთავარ მწვრთნელს თავს მოაწონებს, ბათუმელიც გახდება.

1 ან 2 თებერვალს ასლან ბალაძის შეგირდები ქობულეთში პირველლიგელ თსუ-ს გაეჯიბრებიან და საბოლოო, 22-კაციანი განაცხადიც ამის შემდეგ გახდება ცნობილი. სწორედ ეს ფეხბურთელები წავლენ 3 თებერვალს საწვრთნელ შეკრებაზე ბულგარეთში. იქ ბათუმელები 22 თებერვლამდე ივარჯიშებენ და ექვს ამხანაგურ მატჩსაც ითამაშებენ იქაურ კლუბებთან. სამშობლოში დაბრუნებიდან სამიოდ დღეში კიდევ ერთ საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებენ და ჩემპიონატსაც სრულ მზადყოფნაში შეხვდებიან.

**კახა ზალამბერიძე**



*ნარსულში ცნობილი ფეხბურთელი და თბილისის „დინამოს“ ყოფილი გენერალური მდივანი ვაჟა ჟვანია სამი თვის წინ დააპატიმრეს. მას 491 ტონა შაქრის მითვისებაში დასდეს ბრალი. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულის თავდებით გათავისუფლება ბრძანა, მაგრამ პროკურორმა ეს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა.*

*საოლქომ ჟვანიას წინასწარი, სამთვიანი პატიმრობა მიუსაჯა, რომლის ვადაც დღეს იწურება, თუმც ჟვანიას გათავისუფლების პერსპექტივა ერთობ ბუნდოვანია.*

*— „შაქრის თემა“ გამოძიებას საბაბად აქვს, მე „დინამოში“ დატრიალებული ბოლოდროინდელი სკანდალების მსხვერპლი ვარ, სწორედ ამის გამო ვზივარ“ — ეს სიტყვები ვაჟა ჟვანიას პატიმრობისას არაერთხელ უთქვამს. ორიოდე დღის წინ კი ისე განვითარდა მოვლენები, რომ „შაქრის თემა“ აშკარად უსუსური მოტივი გახდა გამოძიებისთვის.*

*ვაჟა ჟვანიას გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს მეხუთე იზოლატორში დავუკავშირდით. „საფეხბურთო პატიმარმა“ ჩვენს კითხვებს წერილობით უპასუხა.*

# ჟვანიას საქმე შაქარივით დადნა

## კანონით თავისუფალი უნდა ვიყო, მაგრამ ჩემი გაქრობა უნდათ

— 2001 წლის 24 ოქტომბერს, დილის რვა საათზე სამნი მოვიდნენ ჩემთან სახლში. შევიპატიჟე, შემდეგ კი მათი მოთხოვნით საქმის გასარკვევად გავყევი შინაგან საქმეთა სამინისტროში. ჩემს დასაპატიმრებლად სასაცილო მოტივი დამისახელეს, თითქოს 491 ტონა შაქარი მივითვისე და გამოძიებას ვემალებოდი. ეს საქმე გამოძიებამ შეითითხნა. იმთავითვე ვიცოდი, რომ ჩემი დაჭერა „დინამოსთან“ იყო დაკავშირებული. მე კონკრეტული პიროვნება მებრძვის და მისი ინტერესია, გამანადგუროს, რათა ჩემს ხელთ არსებული მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, რომელიც „დინამოში“ დატრიალებულ უკანონობას ამხელს, ფარატინა ქაღალდად დარჩეს.

**— ვინ გებრძვით?**

— სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ეს არის ჩემს წინააღმდეგ მიზანმიმართული შეთქმულება, რომლის სათავეშიც შინაგან საქმეთა ექს-მინისტრი კახა თარგამაძე დგას. მათი მიზანი ნათელია, როგორმე თავიდან აიცილონ ის დიდი დანაშაული, მილიონების გაქრობა და „დინამოს“ დაქცევა რომ ჰქვია. ამისთვის ჩემი ლიკვიდაციაა საჭირო, რასაც შეეცადნენ კიდეც, როდესაც ბათუმში დამიპირეს ეტაპირება. იქ კი რა ვითარებაა, ყველამ კარგად იცის. საერთოდ გამაქრობდნენ. ამიტომაც ავიმაღლე ხმა და უნდობლობა გამოვუცხადე გამოძიებას და გენერალურ პროკურატურას.

**— რატომ ფიქრობთ, რომ „დინამოში“ დატრიალებული მოვლენების მსხვერპლი ხართ და „შაქრის თემა“ მხოლოდ საბაბია გამოძიებისთვის?**

— ამას რა დიდი მიხვედრა უნდა. ბევრი მტკიცება მაქვს მათ საწინააღმდეგოდ. ჯერ ერთი, ისეთი ბრალდება წამომიყენეს, სამოქალაქო სასამართლოს გასარკვევი იყო, მაგრამ პატიმრობა მომისაჯეს. თანაც რატიანის სასამართლო პროცესზე რომელიც 15 იანვარს უნდა გამართულიყო, მოწმედ ვიყავი დაბარებული. უწყება სახლში მომსვლია, მე კი ამ დროს ციხეში ვიჯექი. ვითომ არ იცოდა სასამართლომ ჩემი ზუსტი მისამართი? იცოდა, რომ წესით შინ უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ამათ უკანონოდ ვყავარ გამომწყვდეული. მესამე და უმთავრესი... 21 იანვარს გაირკვა, რომ ვაჟა ჟვანია არის უკანონო პატიმარი. ეს ფოთში გამართულ სასამართლოს გადაწყვეტილებას მოჰყვა. იქ ჩემს საქმეს იხილავდნენ. ფოთის სასამართლომ უდანაშაულოდ მცნო და სათანადო საბუთის ქსეროასლი თბილისში გამოაგზავნა. ამის შესახებ მეხუთე იზოლატორის უფროსმა და სხვებმაც მითხრეს. ცხადია, განთავისუფლება მოვითხოვე, მაგრამ ვინ გისმინა. მითხრეს, ქსეროასლი საკმარისი არ არის, დედანი უნდა მივიღოთო. არადა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლის მე-5 პუნქტში წერია: „პატიმრობის სახით აღკვეთის ღონისძიების შეცვლის, ან გაუქმების თაობაზე ოფიციალურად დამოწმებული შეტყობინება, რომელიც კავშირგაბმულობის ტექნიკური საშუალებით გადაიცა, სასამართლო განაჩენის, დადგენილების ან განჩინების მიღებამდე გათავისუფლების საფუძველია“. ასე რომ, წესით და რიგით, გარეთ უნდა ვიყო, მაგრამ ამათ სხვა გეგმები აქვთ...

**— რატომ განიხილა თქვენი საქმე ფოთის სასამართლომ?**

— მეც მაგას არ ვკითხულობ? საქმე თბილისში აღიძრა, ძიებაც აქ მიმდინარეობდა, სასამართლო კი ფოთში ჩაატარეს. მეუბნებიან, „შაქრის საქმესთან“ ფოთის პორტია დაკავშირებული და ამიტომ სასამართლოც იქ დაინიშნაო. კი მაგრამ, მაშინ რატომ არ გამომიყვანეს პროცესზე, რატომ არ მასწრებენ იმ სასამართლო პროცესებს, სადაც მოწმედ ვარ დაბარებული? იმიტომ, რომ ეშინიათ ჩემი, იციან „დინამოსთან“ დაკავშირებული ბევრი ფაქტი და საბინძურე გამოძიებულება, ამიტომაც ვყავარ კახა თარგამაძეს და მის სამმოს აქ გამომწყვდეული.

**— როგორ ფიქრობთ, რით დამთავრდება ყველაფერი?**

— ამ ქვეყანაში ვინმემ იპოვა სამართალი? სამართალი მხოლოდ ძალა და ფული ყოფილა. რა დღეშიც ჩამაგდეს, ყველა ხედავს. ეს იმიტომ, რომ მე ჩემი საქმის, ფეხბურთის ერთგული ვარ და ბოლომდე ვუერთგულებ კიდეც, თუ ცოცხალი დამტოვეს.

**ბაატა კგანტალიანი**

# ლივერპული დაბრუნდა




მანჩესტერი — ლივერპული. სტეფან ანშომ (მარჯვნივ) რუუდ ვან ნისტელროოის რვიდან რვა აჰმარა

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი
**მანჩესტერი 0:1 ლივერპული**

0:1 მერფი (85)

მანჩესტერი: ბარტეზი, ფ. ნევილი, გ. ნევილი, ბლანი, სილვესტრი (სოლსკიარი 87), როი კინი, ბექემი, ვერონი, სქოულზი, ვან ნისტელროოი, გიგზი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ლივერპული: დუდეკი, ს. რაიტი, ანშო, ჰიპია, კარაგერი, დ. მერფი (ბერგერი 88), ჰამანი, ჯერარდი, რიისე, ოუენი (ანელკა 77), ჰესკი

მწვრთნელი: ფილ ტომპსონი

გაფრთხილება: ჯერარდი, კარაგერი, ვერონი

მსაჯი: ბარბერი

67 599 მაყურებელი

„ლივერპული" კვლავაც საქმეშია და კვლავაც იბრძოლებს ჩემპიონობისთვის. ასე გაირკვა „ოლდ ტრეფორდზე", სადაც ჩემპიონატის ლიდერმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" უკვე დავიწყებული მარცხის გემო იწვნია.

„მანჩესტერ" — „ლივერპულის" დაძაბული და მკაცრი თამაშის მიწურულს სტივენ ჯერარდმა მაინც იპოვა ხვრელი მასპინძელთა დაცვაში და ბრწყინვალე პასით კარის წინ დატოვა მოულოდნელი დენი მერფი, ამ უკანასკნელმა კი ერთი შეხებით, პაერიდანვე გადაგზავნა ბურთი კარში. ეს იყო შეხვედრის ერთადერთი გოლი. ამ დროს მოედანზე აღარ იყო მაიკლ ოუენი. მის ნაცვლად თამაშში ბრწყინვალედ ჩაერთო ნიკოლა ანელკა.

„კარგია, რომ როგორც იქნა მოვიგეთ — თქვა გამარჯვების გოლის ავტორმა — მთლად უკეთესი, რომ ხწორედ მანჩესტერში."

ცხადია, რუუდ ვან ნისტელროოიმ ვეღარ განაგრძო თავისი სარეკორდო სვლა — ზედიზედ მეცხრე გოლიანი მატჩი არ გამოუვიდა.

სხვაგვარად ეს იყო ძალიან რთული თამაში. „ლივერპული" თავს იცავდა და ცდილობდა სახიფათო ჩხვლეტები გამოსვლოდა. ასეთი რამ მხოლოდ შეხვედრის მიწურულს მოახერხა. თუმცა, რაიმე აუღებელი არც მეკარე ირჟი დუდეკს აუღია. ეს არის, რომ „მანჩესტერმა" ცამეტი კუთხური ჩააწოდა, სემი ჰიპია და სტეფან ანშო კი ლომებივით იდგნენ. მთელს შეხვედრაში ერთადერთი თამაშგარე აღინიშნა, ისიც ლივერპულელთა შეტევისას.

სერ ალექს ფერგიუსონს გუნება კი წახდენოდა, მაგრამ თავის ფეხბურთელებს არას ერჩოდა:

„ჩვენ მშვენივრად ვითამაშეთ. ერთადერთი, რასაც მოწინააღმდეგე აკეთებდა, ის იყო, რომ ბურთს იშორებდა. ერთადერთხელ გაგვიძვრა ეს ბურთი და წავაგეთ. ასეთი რამ ხდება ხოლმე ფეხბურთში. შარშანაც ასე იყო, ჩამოვიდნენ, მთელი თამაში ვუტევდით, ერთი გაუვარდათ და წავაგეთ."

მართალი უნდა ითქვას და „მანჩესტერს" ასე კარგად დაცვაში დიდი ხანია არ უთამაშია.

თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ „ლივერპულმა" სალიგო თამაშებში ზედიზედ მეხუთედ დაამარცხა მრავალგზის ჩემპიონები.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 24 | 14 | 3 | 7 | 56:34 | 45 |
| ნიუკასლი | 23 | 13 | 4 | 6 | 42:29 | 43 |
| ლივერპული | 24 | 12 | 7 | 5 | 33:24 | 43 |
| ლიდსი | 23 | 11 | 9 | 3 | 35:21 | 42 |
| არსენალი | 22 | 11 | 8 | 3 | 43:26 | 41 |
| ჩელსი | 23 | 9 | 10 | 4 | 40:23 | 37 |
| ასტონ ვილა | 23 | 9 | 8 | 6 | 31:28 | 35 |
| ტოტენჰემი | 23 | 9 | 5 | 9 | 34:30 | 32 |
| ფულემი | 22 | 7 | 10 | 5 | 23:22 | 31 |
| ჩარლტონი | 23 | 7 | 8 | 8 | 29:30 | 29 |
| სანდერლენდი | 23 | 7 | 7 | 9 | 19:25 | 28 |
| ვესტ ჰემი | 23 | 7 | 7 | 9 | 27:39 | 28 |
| ევერტონი | 23 | 7 | 6 | 10 | 25:30 | 27 |
| საუთჰემპტონი | 23 | 8 | 2 | 13 | 27:37 | 26 |
| ბლექბერნი | 23 | 6 | 7 | 10 | 30:29 | 25 |
| ბოლტონი | 23 | 5 | 10 | 8 | 27:35 | 25 |
| იფსვიჩი | 23 | 6 | 6 | 11 | 31:33 | 24 |
| მიდლსბრო | 22 | 6 | 5 | 11 | 21:31 | 23 |
| დერბი | 23 | 5 | 4 | 14 | 17:41 | 19 |
| ლესტერი | 22 | 3 | 8 | 11 | 14:37 | 17 |

### ლიგის თასი. 1/2 ფინალი
### საპასუხო მატჩი
**ბლექბერნი 4:2 შეფილდ უენსდი (I) (2:1)**

1:0 ჰიუზი (36), 2:0 დაფი (37), 2:1 ეკოკუ (59), 3:1 ენდი კოული (82), 3:2 სოლტვედტი (86), 4:2 ჰიგნეტი (88)

# კოული მანჩესტერიდან თასისთვის წავიდა

**ერთი ლიგის** თასიდა მაკლდა და იქნებ ეგეც მოვიგოო, უთქვამს „შეფილდთან" საპასუხო ნახევარფინალური მატჩის შემდეგ „მანჩესტერიდან" „ბლექბერნში" გადასულ ენდი კოულს. ამ მატჩში და მთლიანად ორრაუნდიან დუელში „ბლექბერნი" გამოვიდა გამარჯვებული, თან ეს საკმაოდ იოლად შეძლო. მიუხედავად პირველ შეხვედრაში 2:1 მოგებისა, პრემიერლიგელებმა არც საკუთარ „ევუდ პარკზე" გაახარეს პირველდივიზიონელები.

მასპინძლებმა პირველი ტაიმი 2:0 მოიგეს. მეორე ნახევარი კი უფრო სახალისო გამოდგა. ჯერ ერთი, „ბლექბერნის" კაპიტანი კლითეროუფთი გაძევეს, შემდეგ კი ოთხი გოლი კიდევ გავიდა — ორი მასპინძელთა, ორიც სტუმართა კარში. ერთ-ერთი მათგანი „მანჩესტერის" ყოფილი ვარსკვლავის ანგარიშზეა.

და რაც მთავარია, „ბლექბერნი" 1960 წლის მერე პირველად აღმოჩნდა ლიგის თასის ფინალში. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა კი აუცილებლად შევა „ბლექბერნის" მწვრთნელ გრემ სუნესს კლუბის ისტორიაში.

**გიორგი ბაძაღუვილი**




მასპინძელთა მწვრთნელ რალფ რანგნიკისთვის ქარმა კარგად ვერ დაუბერა

## გერმანია

### თასის მერვედფინალი
**ჰანოვერი (II) 1:2 ლევერკუზენი**

0:1 ნოივილი (20), 0:2 კირსტენი (24), 1:2 ს. კუტა (47)

# ქარო, საიდან მოდიხარ

**საინტერესო** და დაძაბული გამოდგა ბუნდესლიგის ლიდერ „ლევერკუზენისა" და ქვედალიგელი „ჰანოვერის" დაპირისპირება.

თავიდან, მატჩის მე-4 წუთზე „ჰანოვერს" შეეძლო ანგარიშის გახსნა, მის ჩეხ ლეგიონერ კაუფმანს თერთმეტმეტრიანი რომ გაეტანა, ამის შემდეგ კი უპირატესობა „ლევერკუზენმა" იგდო ხელთ და მე-20 წუთზე გერმანიის ნაკრების წევრმა ოლივერ ნოივილმა სტუმრები დააწინაურა, ხოლო ოთხიოდ წუთში ულფ კირსტენმა ანგარიში ორამდე გაზარდა.

მასპინძლებმა მეორე ტაიმი კარგად დაიწყეს და სხვაობა მინიმუმამდე შეამცირეს, მაგრამ სულ ეს იყო, იმ მატჩში მეტი გოლი არ გასულა. საერთოდ კი, თამაში ქარიან ამინდში ჩატარდა, მაგრამ 58-ე წუთზე ისე დაუბერა, რომ შეხვედრა 11 წუთით შეწყდა. თამაშის განახლების შემდეგ გამორჩეული არაფერი მომხდარა და „ლევერკუზენი" მეოთხედფინალში გავიდა. მისი მეტოქე „მიუნხენ 1860" იქნება. თამაში 30 იანვარს გაიმართება.

**ლუკა გეგეჭკორი**

# კონკაკაფის ოქროს თასი



კანადური სენდვიჩი: ეკვადორელი ედისონ მენდესი შუაში უხერხულად გაეჩხირა

### C ჯგუფი. II ტური
**ტრინიდადი და ტობაგო 0:1 მარტინიკა**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოსტა რიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| მარტინიკა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ტრინიდადი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |

კოსტა რიკა და მარტინიკა გავიდნენ მეოთხედფინალში

### D ჯგუფი. II ტური
**კანადა 0:2 ეკვადორი**

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ჰაიტი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ეკვადორი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |

კანადა და ჰაიტი გავიდნენ მეოთხედფინალში

## შოტლანდია

### პრემიერლიგა
### XXV ტური
**სენტ ჯონსტონი 1:4 დანდი იუნაიტედი**

0:1 ლილი (29), 0:2 ჩ. მილერი (37), 0:3, 0:4 ლილი (45, 52), 1:4 იუსუფი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 24 | 22 | 1 | 1 | 57:12 | 67 |
| რეინჯერსი | 24 | 16 | 6 | 2 | 53:17 | 54 |
| ლივინგსტონი | 24 | 12 | 7 | 5 | 35:20 | 43 |
| ჰართსი | 25 | 10 | 4 | 11 | 34:31 | 34 |
| აბერდინი | 24 | 10 | 3 | 11 | 32:36 | 33 |
| კილმარნოკი | 24 | 9 | 5 | 10 | 25:28 | 32 |
| დანფერმლაინი | 24 | 9 | 4 | 11 | 28:38 | 31 |
| დანდი იუნ. | 26 | 8 | 7 | 11 | 28:44 | 31 |
| დანდი | 23 | 7 | 5 | 11 | 23:35 | 26 |
| მოზერუელი | 25 | 6 | 6 | 13 | 32:48 | 24 |
| ჰიბერნიანი | 25 | 5 | 8 | 12 | 29:38 | 23 |
| სენტ ჯონსტონი | 26 | 3 | 4 | 19 | 17:46 | 13 |

### პირველი დივიზიონი
### გადადებული მატჩი
**ერდრი 2:3 სენტ მირენი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიკ თისლი | 23 | 15 | 4 | 4 | 44:23 | 49 |
| ერდრი | 22 | 13 | 7 | 2 | 45:18 | 46 |
| სენტ მირენი | 23 | 8 | 8 | 7 | 27:29 | 32 |
| ეარი | 23 | 9 | 4 | 10 | 36:33 | 31 |
| ინვერნესი | 23 | 9 | 3 | 11 | 45:38 | 30 |
| კლაიდი | 22 | 8 | 5 | 9 | 27:37 | 29 |
| ფოლკირკი | 21 | 8 | 4 | 9 | 34:39 | 28 |
| არბროთი | 22 | 8 | 1 | 13 | 25:44 | 25 |
| როს ქაუნთი | 21 | 6 | 3 | 12 | 22:31 | 21 |
| რეით როვერსი | 22 | 4 | 7 | 11 | 31:44 | 19 |

## გულფის თასი

### III ტური
**ქუვეითი 0:0 ბაჰრეინი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყატარი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| საუდეთი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| ომანი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| საამიროები | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| ქუვეითი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ბაჰრეინი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | 1 |

## თურქეთი

### XIX ტური
**მალათია 4:1 ანკარაგიუჩიუ**

**ფენერბაჩე 2:0 ისთანბული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 18 | 13 | 3 | 2 | 48:23 | 42 |
| ფენერბაჰჩე | 19 | 12 | 1 | 6 | 38:20 | 37 |
| ბეშიქთაში | 17 | 11 | 3 | 3 | 45:23 | 36 |
| ანკარაგიუჯიუ | 19 | 9 | 3 | 7 | 43:32 | 30 |
| ისთანბული | 19 | 9 | 3 | 7 | 19:19 | 30 |
| გაზიანთეფი | 18 | 8 | 4 | 6 | 25:21 | 28 |
| კოჯაელი | 18 | 8 | 4 | 6 | 26:27 | 28 |
| ბურსა | 18 | 8 | 3 | 7 | 22:26 | 27 |
| ტრაბზონი | 17 | 7 | 4 | 6 | 28:21 | 25 |
| დენიზლი | 18 | 5 | 6 | 7 | 31:25 | 21 |
| დიარბაქირი | 18 | 6 | 3 | 9 | 29:34 | 21 |
| სამსუნი | 18 | 6 | 3 | 9 | 17:26 | 21 |
| გიოზთეფე | 18 | 5 | 6 | 7 | 13:30 | 21 |
| რიზე | 18 | 4 | 7 | 7 | 21:24 | 19 |
| გენჩლერი | 18 | 4 | 6 | 8 | 26:35 | 18 |
| მალათია | 19 | 6 | 0 | 13 | 19:38 | 18 |
| ანთალია | 18 | 4 | 5 | 9 | 24:41 | 17 |
| იოზგათი | 18 | 4 | 4 | 10 | 24:33 | 16 |

## საფრანგეთი

### მეორე დივიზიონი
### XXIV ტური
**ნიცა 1:0 ნანსი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოვე | 23 | 11 | 9 | 3 | 26:12 | 42 |
| აიაჩო | 23 | 11 | 7 | 5 | 30:18 | 40 |
| სტრასბური | 20 | 11 | 6 | 3 | 29:12 | 39 |
| ლე ავრი | 21 | 9 | 9 | 3 | 28:14 | 36 |
| ნიცა | 24 | 11 | 3 | 10 | 32:26 | 36 |
| ლე მანი | 23 | 9 | 7 | 7 | 25:25 | 34 |
| კაენი | 23 | 8 | 8 | 7 | 33:34 | 32 |
| ამიენი | 22 | 8 | 7 | 7 | 28:25 | 31 |
| შატორუ | 20 | 8 | 5 | 7 | 23:20 | 29 |
| გენიონი | 21 | 6 | 11 | 4 | 23:24 | 29 |
| ნანსი | 21 | 7 | 7 | 7 | 24:21 | 28 |
| გრენობლი | 23 | 7 | 7 | 9 | 21:32 | 28 |
| ლავალი | 22 | 7 | 6 | 9 | 24:30 | 27 |
| ნიორი | 23 | 5 | 11 | 7 | 25:27 | 26 |
| ვასკვალი | 22 | 7 | 5 | 10 | 24:30 | 26 |
| სენტ ეტიენი | 21 | 5 | 8 | 8 | 21:30 | 23 |
| ისტრი | 22 | 4 | 9 | 9 | 18:25 | 21 |
| მარტიგი | 22 | 5 | 6 | 11 | 17:29 | 21 |
| კრეტეი | 22 | 4 | 8 | 10 | 21:29 | 20 |
| ნიმი | 22 | 3 | 9 | 10 | 19:28 | 18 |

# ძმური რჩევა

## მანჩესტერმა ურუგვაელი დაიმატა

„მანჩესტერ იუნაიტედმა" არგენტინულ კლუბ „ინდეპენდიენტედან" 22 წლის ურუგვაელი ფორვარდი დიეგო ფორლანი იყიდა და მასთან 2006 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. ინგლისის ჩემპიონს სამხრეთამერიკელის „ოლდ ტრეფორდზე" გადაყვანა 7,5 მილიონი გირვანქა დაუჯდა.

ფორლანმა, რომელიც გამართულად ლაპარაკობს ინგლისურად და „იუნაიტედის" შემადგენლობაში შესაძლოა „ბოლტონთან" მატჩშიც გამოჩნდეს, განაცხადა: „გოლის გატანა მიყვარს და ვგონებ, მეხერხება. შევეცდები, ჩემს ახალ კლუბს გამოვადგე".

„იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა კი თქვა: „მისი ძმა მარტინი, რომელიც „მანჩესტერის" ერთ-ერთი მთავარი სკაუტია, არგენტინაში იმყოფებოდა და „ინდეპენდიენტეს" სამ შეხვედრას დაესწრო, დიეგომ მასზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. იგი ორივე ფეხით კარგად თამაშობს და თავითაც ეხერხება. მას დიდი მომავალი ელის" — შეაქო ახალწვეული სერ ალექსმა.

„წითელ ეშმაკთა" ახალმა მოთამაშემ, რომლის მამაც ასევე ფეხბურთელი გახლდათ, დაამატა, რომ იგი არგენტინაში ხშირად უყურებდა პრემიერლიგის მატჩებს და საერთოდ, ატლანტიკის გაღმა „მანჩესტერ იუნაიტედი" ძალიან პოპულარული კლუბია. „იუნაიტედის" ახლანდელი მოთამაშეებიდან კი ყველაზე მეტად აფასებს რაიან გიგზს, დევიდ ბექჰემს და როი კინს, ასევე ენდი კოულს, რომელიც მოგეხსენებათ „ბლექბერნში" გაიყიდა.

**ნიკა შუბლაძე**



REUTERS მანჩესტერიდან

ალექს ფერგიუსონი და დიეგო ფორლანი ალისფერმა მაისურმა დააახლოვა

# რა სარგებლობა მოაქვს უმბროს



ლუის ვან გაალი

**კარგა ხანია** ამბობენ, რომ მომდევნო სეზონიდან „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელობის უპირველესი კანდიდატი ჰოლანდიელი ლუის ვან გაალია. გუშინ ნიდერლანდურმა გამოცემა „ალგემეენ დაბლანდმა" შეძლებისდაგვარად გაგვარკვია ვან გაალისა და ინგლისელების ურთიერთობაში, როცა „მანჩესტერის" თავმჯდომარის პიტერ კინიონის ნათქვამი გაგვაცნო: „სერ ალექსის შემცვლელად ლუის ვან გაალი იდეალურ კანდიდატად მიმაჩნია. ჩვენ ვცდილობთ, ისეთი მწვრთნელი მოვნახოთ, რომელიც ამჟამად არსად მუშაობს, რათა ზედმეტი სატრანსფერო ხარჯები თავიდან ავიცილოთ. აქედან გამომდინარე, გამოირიცხა დევიდ ოლირის, ოტმარ ჰიცფელდის, მარტინ ონილისა და ფაბიო კაპელოს კანდიდატურები".

მოგეხსენებათ, ჩამოთვლილ მწვრთნელებს ხანგრძლივი კონტრაქტები აკავშირებთ თავიანთ გუნდებთან, აი, ვან გაალს კი ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციასთან 31 იანვარს ეწურება ვადა. საქმე ისაა, რომ ვან გაალის ნაკრებიდან წასვლა ოფიციალურად ჯერ არ გაფორმებულა, თუმცა ფაქტობრივად კარგა ხნის შემდგარი ამბავია.

სარწმუნო წყაროდან ისიც გახდა ცნობილი, რომ მანჩესტერში გადაბარგების შემთხვევაში ვან გაალი ამას წინათ „აიაქსის" მწვრთნელობიდან გათავისუფლებულ კო ადრიანსეს იახლებს, რომელსაც ახალგაზრდულ გუნდს ჩააბარებს. სერ ალექსი კი აცხადებს, რომ მისი შემცვლელი ბრიტანელი არ იქნება.

ბოლოს ერთი საინტერესო და ყურადსაღები ფაქტიც: 1995 წელს „აიაქსში" მომუშავე ვან გაალს ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმჟამად „უმბროს" ერთ-ერთ დირექტორ პიტერ კინიონთან. ვითომ რატომ არ უნდა გაგრძელდეს მე-20 საუკუნეში დაწყებული მეგობრობა 21-ე საუკუნეშიც?

**ზურაბ რუხაძე**

# ზიზღი ლოთებს!

## ითამაშეთ ცუდად, ოღონდ ნუ დალევთ



სვენ გორან ერიქსონი

**შვედმა** მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა საჯაროდ გამოაცხადა, ინგლისის ნაკრებში ძველი ბიჭებისთვის ადგილი არ არისო. „თუ ნაკრების კანდიდატი სათანადოდ არ მოიქცევა და ხულიგნურ ცხოვრებას არჩევს, მე მას ძალიან იოლად მოვკვეთ ეროვნული გუნდიდან" — ბრძანა შვედმა. თუ ვინ იგულისხმა, ეს კი აღარ დაუკონკრეტებია, თუმცა ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ერიკსონმა „ჩელსის" მცველის ჯონ ტერის ნაკრებში მიწვევაზე იმის გამო თქვა უარი, რომ ამ ფეხბურთელს კვლავაც სასამართლოსთან აქვს საქმე. ჯერაც არავინ იცის, რა განაჩენს გამოუტანს ერიკსონი ლიდსელებს ჯონათან ვუდგეიტსა და ლი ბოიერს, რომლებმაც აზიელი სტუდენტი გალახეს. სასამართლო პროცესი დასრულდა, ვუდგეიტი გაამტყუნეს და ასი საათი იძულებით მუშაობაც მიუსაჯეს, ბოიერი კი მშრალად გამოძვრა.

თუმცა, ბოიერს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტთანაც შექმნია პრობლემები და მისი საქმე თებერვლის დასაწყისში უნდა განიხილონ. კომიტეტის ვერდიქტი, ალბათ, დიდ გავლენას მოახდენს ერიკსონის გადაწყვეტილებაზე, როცა შვედი 13 თებერვალს ჰოლანდიასთან ამხანაგურ მატჩში სათამაშოდ შემადგენლობას დაასახელებს.

„ნაკრებში, კლუბისგან განსხვავებით, მოთამაშეებს ვერ ყიდულობ და ყიდი, შემადგენლობის შერჩევა აქ უფრო ადვილია, იმას გამოიძახებ, ვინც გინდა და სათანადო ფორმაშია, არჩევანიც დიდი გაქვს — ბრძანა ინგლისის ეროვნული გუნდის თავკაცმა — ვინც ნაკრებში მოხვდება, უნდა იცოდეს, რომ ის თავის ქვეყანას ემსახურება და პროფესიონალიზმი ბოლომდე უნდა გამოავლინოს. ცხადია, დიდი სურვილი მაქვს, რომ გარშემო მხოლოდ კარგი ხალხი შემოვიკრიბო, მაგრამ ისიც ხომ შეუძლებელია, ფეხბურთელების წინ დავდგე და მათ მორალი ვუკითხო".

სვენ გორანმა ისიც განაცხადა, მოთამაშეებს ყოველთვის გვერდში ვუდგევარ და მათ გამხნევებას ვცდილობ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ცუდად ითამაშებენო.

როცა ჰკითხეს, ნაკრებში თავაწყვეტილ ღრეობას და ლოთობას როგორ უნდა ებრძოლოთო, შვედმა უპასუხა: ზედმეტი მოსდით, როცა ინგლისურ ფეხბურთში ფეხმოკიდებულ ალკოჰოლიზმზე საუბრობენ. წრეგადასული ღრეობა და ლოთობა ინგლისის ნაკრებში არც ყოფილა და ამას არც დავუშვებ, თუ ვინმე ულირსად იქცევა, ნაკრებს გარეთო.

**ნიკა შუბლაძე**

# ნატრაბახევი

## რეალს და ვან ბომელს საერთო ოცნება აქვთ

**ფლორენტინო პერესმა** და კიდევ რამდენიმე ადამიანმა თუ უწყის ზუსტად, გადავა თუ არა პატრიკ ვიეირა „არსენალიდან" „რეალში". ლონდონური კლუბის ხელმძღვანელები იმის იმედად არიან, რომ ფრანგი „ჰაიბერიზე" ბედნიერია და არსადაც არ აპირებს წასვლას. მათ ზურგს უკან კი მადრიდული კლუბი თავად ფეხბურთელთან და მის აგენტთან აწარმოებს მოლაპარაკებას და ვინ იცის, იქნებ ათასგვარი მაცდური დაპირებითაც ხიბლავს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს.

ამ ტრანსფერზე ჯერჯერობით ახალს ვერაფერს დავამატებთ და ვიეირაზე ლაპარაკსაც აქ დავასრულებთ, ჰოლანდიელ მარკ ვან ბომელზე კი, რომელსაც ვიეირას „რეალში" გადასვლასთან საერთო თითქმის არაფერი აქვს, მოგახსენებთ — ეს მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს...

რა კავშირია მათ შორის? ცოტა ხნის წინ ვან ბომელს მეგობრებში დაუტრაბახია, თუ ვიეირა „რეალმა" იყიდა, მაშინ „არსენალი" მის პოზიციაზე სათამაშოდ მე გადამიყვანსო. ვან ბომელის ძმაკაცთაგან კი ვიღაცას ენაზე კბილი არ დაუჭერია და ჰოლანდიელი ფეხბურთელის იქნებ უსაფუძვლო ნატრაბახევიც აგერ საქართველოშიც გავიგეთ.

თუმც ფაქტები ისეთია, რომ ვან ბომელის სიტყვები, შესაძლოა, სულაც არ იყო საფუძველს მოკლებული და ჰოლანდიელი მართლაც ვიხილოთ „არსენალში", სადაც იგი თანამემამულეებს — დენის ბერხკამპსა და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს შეუერთდება.

სხვათა შორის, ისიც ითქვა, რომ ვან ბომელის „პსვ ეინდჰოვენიდან" „არსენალში" ტრანსფერის გახერხებაზე მისი აგენტი, რობ იანსენი უკვე მუშაობს. ტრანსფერის სავარაუდო ღირებულება 13 მილიონი გირვანქაა, ხოლო აგენტ იანსენზე ის შეიძლება ითქვას, რომ მან თავის დროზე „ჰაიბერიზე" ორი ჰოლანდიელის — დენის ბერხკამპისა და მარკ ოვერმარსის გადაყვანაში შეიტანა თავისი წვლილი.

ისიც არ არის ახალი, „არსენალი" ვან ბომელით მართლაც რომ არის დაინტერესებული. არსენ ვენგერმა 24 წლის ჰოლანდიელს პირველად შარშან, აგვისტოში დაადგა თვალი, როცა ნახევარმცველმა ეროვნულ გუნდში ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა და შორეული დარტყმით ერთი გოლიც გაიტანა, ჰოლანდიამ კი „ტოტენჰემის" „უაით ჰართ ლეინზე" ინგლისს 2:0 მოუგო.

თუმცა ვან ბომელის ტრანსფერი აქამდე ვერ გახერხდა. ვერსია ასეთი იყო — „არსენალს" ვან ბომელის პოზიციაზე ვიეირა ჰყავს და მის სანაცვლოდ დიდძალი თანხის გადახდა არაფერში აძლევს ხელსო. თუმცა ახლა, როცა საქმე იქით მიდის, რომ ვიეირა მადრიდელებს ეჭუკჭუკება და ვინ იცის, იქნებ უცებ დატოვოს კიდეც ლონდონი, არსენალელებს ისევ გაახსენდათ ვან ბომელი, რომელიც ამით ძმაკაცებში ტრაბახობს.

**ნიკა შუბლაძე**



მარკ ვან ბომელს (მარცხნივ) ვიეირობა მოუნდა

Cup of Nations 2002

## აფრიკის ერონენბათა თასი 2002 მალი. 19 იანვარი — 10 თებერვალი

# განაში მშვიდობაა

## პრეზიდენტის ნათესავი მოიცილეს



სამუელ კუფური

**გუშინაც** ვწერდით, რომ განის ნაკრების მწვრთნელმა ფრედ ოსამ-დუოდუმ სამუელ კუფური გუნდიდან გააგდო. არადა, კუფური აფრიკის 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელობის უპირველესი კანდიდატია (კონტინენტის ფეხბურთის კონფედერაცია გამოკითხვის შედეგებს მხოლოდ აპრილში გამოაქვეყნებს). ბაიერნელი მცველის გაგდების მიზეზიც ითქვა — უდისციპლინობა, თუმცა ამგვარი განმარტება ძალიან ზოგადია და უამრავ რამეს შეიძლება ნიშნავდეს.

თავად კუფური, რომელმაც, შეგახსენებთ, ნოემბერში ტოიოტას თასზე არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს" გამარჯვების გოლი გაუტანა, ამბობს, ვერ გამიგია, რას მერჩიანო. „წარმოდგენა არ მაქვს, მწვრთნელი უდისციპლინობად რას მიიჩნევს. მალიში ჩასვლის დღიდან ცუდი არაფერი გამიკეთებია. მუდმივად ბიჭებთან ერთად ვიყავი და ყველანი ერთნაირად ვიქცეოდით" — ასეთი კომენტარი გააკეთა განის დედაქალაქ აკრას „კოტოკას" აეროპორტში კუფურმა. აქვე გავიხსენოთ, რომ კუფური ორშაბათს, მაროკოსთან უგოლო ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგ დაითხოვეს.

ბურუსი ისევ მწვრთნელმა გაფანტა: „კუფური მეც და ნაკრების სხვა ხელმძღვანელებსაც საკმაოდ ულიერად გველაპარაკებოდა და სხვა მოთამაშეების ამხედრებასაც ცდილობდა. არადა, გუნდში მშვიდობა თუ არ იქნა, ჩვენს თამაშზე იმოქმედებს და შესაბამისად სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. ახლა, კუფურის გაშვების შემდეგ, ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგა და მომავალი მატჩების გარდა აღარაფერზე ვფიქრობთ."

ოსამ-დუოდუს ამ განცხადების მერე გაიხსენეს, რომ კუფური რა ხანია აკრიტიკებს მწვრთნელს. კონფლიქტი იმით დაიწყო, კაპიტანი ჩარლზ აკონორი როგორ არ ჩასვი საჩემპიონატო განაცხადშიო და მერე ყოველ ინტერვიუში კუფური ოსამ-დუოდუს ტაქტიკას უწუნებდა. ისიც აღვნიშნოთ, რომ ფეხბურთელი საერთოდაც უარს ამბობდა მალიში ჩასვლაზე და მისი დაყოლიება მხოლოდ ქვეყნის პრეზიდენტმა ჯონ კუფურმა შეძლო (ალბათ, ნათესაობის ხათრით).

სამუელ კუფური ერთადერთი ფეხბურთელი არ არის, რომელსაც ტურნირი ნაადრევად დაატოვებინეს. ორშაბათსვე მაროკოს ნაკრების მწვრთნელმა, პორტუგალიელმა უმბერტუ კოელიუმ ფულემელი მცველი აბდესლამ უადუ დაიფრინა, ხოლო ეგვიპტელებმა იბრაჰიმ საიდი გაუშვეს. ეს ამბავი კვირას მოხდა.

გაგდებულებზე ვთქვით და დარჩენილებს მივხედოთ — დღეს მეორე ტურის მატჩებია.

ბამაკოს „26 მარტის" სტადიონი უეჭველად გადაიჭედება, რაკი მასპინძელი მალი ნიგერიას მასპინძლობს. A ჯგუფში ისეთი ვითარებაა, მალელებმა თუ წააგეს, ევებ მეოთხედფინალს დაემშვიდობონ. არადა, ნიგერია ჩემპიონატის უპირველესი ფავორიტია. პირველ ტურში ალჟირისთვის გამარჯვების გოლის გამტანი ჯულიუს აგაჰოვა ამბობს, ალჟირს მოვუგეთ და მალის უფრო სუსტ გუნდს მით უფრო დავამარცხებთო...

ტურის უმთავრესი მატჩი კი სეგუში გაიმართება, სადაც ორი აფრიკული ბობოლა, განა და სამხრეთ აფრიკა დაეჯახებიან. განელთა ამბავი თავში მოგახსენეთ, სამხრეთელთა უმთავრესი პრობლემა კი ნაკრების კაპიტნის, ერთ დროს გოჩა ჯამარაულისა და მიხეილ ყაველაშვილის თანაგუნდელის, ახლა კი პრემიერლიგური „ჩარლტონის" თავდამსხმელის შონ ბარტლეტის ტრავმაა. კაპიტანი პირველ ტურში ბურკინა ფასოსთან მე-17 წუთზე დაშავდა და უიმისოდ „ბაფანა ბაფანამ" უსახელო მეტოქე ველარ გატეხა, თუმცა სამხრეთაფრიკელთა შტაბში ამბობენ, ბარტლეტის ტრავმა საშიში არ არის და დიდი შანსია, განასთან ითამაშოსო.

ისე კი შევნიშნოთ, რომ მათ, ანუ B ჯგუფში ჯერ გოლი არ გასულა, თუმცა არც სხვაგან გლეჯენ ბადეებს — თასის გათამაშების მონაწილე თექვსმეტი გუნდიდან ათმა პირველ ტურში გოლის გატანის სიხარული ვერ იგრძნო.

**გიორგი დარჯანია**

| დღეს |
| --- |
| მალი — ნიგერია |
| განა — სამხრეთ აფრიკა |



უბილეთო მალელებმა უბილეთო ადგილები შეავსეს





**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა „ბარსელონას" ჰოლანდიელ ფორვარდ პატრიკ კლუივერტს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა. საქმე ისაა, რომ „რაიო ვალეკანოსთან" მატჩის შემდეგ კლუივერტი მთავარ მსაჯს გამოენთო და უნამუსო უწოდა. დებულების თანახმად, ჰოლანდიელ თავდამსხმელს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია ელოდა, თუმც: „მან წერილობით გვამცნო, რომ ბოდიშს იხდის და პატიებას ითხოვს. ჩვენც ეს გავითვალისწინეთ" — განაცხადა სადისციპლინო კომიტეტის პრეზიდენტმა ფერნანდო სეკეირამ.

**ბრაზილიის შტატ სან პაულუს პოლიციამ სტადიონ „პარკ ანტარკტიკაზე" მიმავალი ავტობუსი დაყავა, რომელშიც „ფლამენგოს" გულშემატკივრები ისხდნენ. ჩხრეკის შედეგად ორი რევოლვერი, იარაღი და რამდენიმე ფეიერვერკი ამოიღეს. გულშემატკივრები „პალმეირასთან" მატჩზე მიემგზავრებოდნენ. რამდენიმე მათგანი დაკავებულია.**

**სამხრეთაფრიკელი** უეინ ფერერას მუცლის კუნთებმა ერთი შეხედვით კეთილი საქმე გააკეთეს — დასიცხვას გადაარჩინეს ორი ჩოგბურთელი. გუშინ მელბურნში მეტად ჩამოცხა, ცელსიუსის თერმომეტრის სვეტი 30 გრადუსს ასცდა, ამიტომ მარატ საფინს და ფერერას კორტზე დიდი ხალისი როდი ეტყობოდათ. სახეები ჰქონდათ ასეთი, თორემ „დიდი სლემის" მეოთხედფინალში, ქვეყანაც რომ იქცეოდეს, პროფესიონალს რა უფლება აქვს, ცოცხლად არ გაისარჯოს. ჩოგბურთელებმაც მხნედ დაიწყეს, განუთესავი ფერერა და მე-9 ნომერი საფინი 2 გეიმის მანძილზე ჩოგანს მძვინვარედ იქნევდნენ, მერე კი ფერერა დაშავდა და მწვრთნელს უხმო, მუცელი მტკივაო. „მელბურნ პარკის" როდ ლეივერის კორტი ღრიანცელით დაცარიელდა.

ცოტა ხანში მატჩი გაგრძელდა, ოღონდ ფერერას მოძრაობის სიჩქარე და მოქნილობა დააკლდა და როცა სამხრეთაფრიკელმა კიდევ ერთი მოწოდება წააგო, ისევ მწვრთნელს მიმართა. ეს იყო და, ფერერა უკან არ მობრუნებულა, მეტოქეს გამარჯვება მიულოცა.

საფინმა მორცხვად გაიხარა. „ვნანობ, ასე რომ მოხდა, მაგრამ თამაშის შეწყვეტისთვის ბედის მადლობელი ვარ — თქვა რუსმა, ვინც განთესვით კი ჩამორჩება ჯერ კიდევ მწყობრში მყოფ ტომი ჰაასს, მაგრამ ბუქმეიკერთა აზრით, მაინც მთავარი ფავორიტია — ასეთ სიცხეში თამაში აუტანელი იყო, ამიტომ ვთვლი, რომ ფერერამ საჩუქარი გამიკეთა. ის ენერგია, დღეს რომ დავზოგე, მეტად წამადგება ნახევარფინალში. კარგად ვარ, თავს ჩინებულად ვგრძნობ და თვითრწმენაც არ მაკლია. ტურნირის მოგება ნაღდად არ მაწყენს".

გავაცილოთ უეინ ფერერა, ჩოგბურთის უიღბლო ვეტერანთაგანი, რომელსაც „დიდი სლემის" არც ერთი ჯილდო აქამდე არ რგებია და ამიერიდან მით უმეტეს. ფერერა ათ წელზე მეტია, პროფესიონალი ჩოგბურთელია, სწორედ ათი წლის წინ ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალში ითამაშა, მერე კი მორჩა: 94-ის უიმბლდონიდან მოყოლებული მეოთხედფინალშიც არასდროს ყოფილა. ამჯერად სამხრეთაფრიკელმა მძიმე გზა განვლო, სანამ საფინამდე მიაღწევდა. კერძოდ, ორი თამაშის მოსაგებად სეტების მაქსიმუმი (ანუ 5) დასჭირდა. ამათგან გამოსარჩევია ივან ლუბიჩიჩის დამარცხება მესამე წრეში — ფერერა 0:2-ს აგებდა და 3 სეტი ზედიზედ მოიგო. სამხრეთაფრიკელმა გააგრძელა ტრავმების მოკლე სერია, რომელმაც ავსტრალიის ღია პირველობას ჯერ ანდრე აგასი მოსწყვიტა, მერე — ენდი როდიკი.

ქალთა დარჩენილი ორი მეოთხედფინალი ძირითადად მძლავრი მანდილოსნების იყო. ერთ წყვილში შედიოდნენ ჯენიფერ კაპრიატი და ამელი მორესმო. მათი გარეგნული მონაცემები ასეთია: სიმაღლე 174:175, წონა 61:64. უეჭველია, ამ მასის მნიშვნელოვანი ნაწილი ორივე ჩოგბურთელს კუნთებში აქვს თავმოყრილი და მატჩიც მაღალ სიჩქარეებსა და სიმძლავრეებზე უნდა განვითარებულიყო. სხვა პარამეტრებით კაპრიატი სჯობდა: პირველ ნომრადაა განთესილი, მორესმო მე-7 იყო, ამერიკელს 12 ტიტული მოუპოვებია, ფრანგს — 6. ეს დიდი გოგოები კორტზე ენერგიულად გავიდნენ, თუმცა მორესმოს თამაში არ წაუვიდა. კაპრიატი თავიდან ბოლომდე ბატონობდა და, რაც მთავარია, კრიტიკულ მომენტებში თავი უკეთ ეჭირა. მორესმოს 6-ჯერ შეეძლო მეტოქისთვის მოწოდების ართმევა და ერთი ბრეიკ-პოინტიც ვერ გამოიყენა, თორემ დასკვნითი ანგარიში მისთვის ასე უფერული მაინც არ იქნებოდა. გარდა ამისა, ფრანგი მეტად ჩლუნგად იქნევდა ჩოგანს პირველი მოწოდებისას და ბურთების ნახევარიც ვერ მოახვედრა მონიშნულ არეში (44 პროცენტი).

დაახლოებით ასე წარიმართა კიმ კლაისტერსის და ჟიუსტინ ენენის მატჩიც, ოღონდ ენენმა თვისტომს 4 კი არა, 5 გეიმი მოუგო. სხვაფრივ, მელბურნში ერთობ კარგად მოთამაშე კლაისტერსი ენენს იოლად მოერია, 74 წუთში.

პირველ პარტიაში კლაისტერსი, რომელსაც ლეიტონ ჰიუიტის გელფრენდობა ადგილობრივი საზოგადოების მხარდაჭერას უხვეჭს, უკანა ხაზიდან შორეული დაბომბვებით აბრუებდა ენენს საკუთარ და მეტოქის მოწოდებებზეც. „რამე განსაკუთრებული გეგმა არ მქონია — თქვა კლაისტერსმა პრესკონფერენციაზე — მხოლოდ მსურდა, ბოლომდე აგრესიული ვყოფილიყავი და ეს მოვახერხე კიდეც". კლაისტერსის სწრაფი და ზუსტი დარტყმები შორს გერიდა ენენს და მან ბევრ ბურთს ჩოგანი უბრალოდ ვერ დაუხვედრა. სურათი არც მეორე სეტში შეცვლილა, დიდმა ბელგიელმა პატარას კვლავ დააყარა და მე-8 გეიმში გადამწყვეტი მოწოდება აართვა. ენენისთვის მწარე შედეგი მისმა უნებლიე შეცდომებმაც გამოიწვია — მათი რიცხვი 30-ს აღწევდა.

პრესკონფერენციაზე კლაისტერსმა დაადასტურა, რომ მისი და ენენის მჭიდრო მეგობრობას მატჩის შედეგი ვერ შეარყევს. „კორტზე მტრები ვიყავით — თქვა გამარჯვებულმა — ბოლო ბურთის გათამაშებისთანავე მეგობრებად ვიქეცით", თუმცა მათი პირადი შეხვედრების თანაფარდობაში მეგობრული ბევრი არაფერია, ბოლო 5 მატჩიდან კლაისტერსმა 4 მოიგო.

ნახევარფინალში ერთი წყვილი კლაისტერსის და კაპრიატისა იქნება. მოსალოდნელია უაღრესად მძიმე და სანახაობრივი თამაში, რადგან ამათგან არც ერთი ადრეულ წრეებში ერთხელაც არ წაბორძიკებულა და მეტად კარგ ფორმაში არიან. მაგალითად, კლაისტერსმა 5 თამაშში მხოლოდ 15 (!) გეიმი წააგო. ახლა იგი ოდნავ მკლავს იტკიებს, მაგრამ ამბობს, ეგ არაფერიო. ადრე ისინი ორჯერ შეხვედრიან: ფილადელფიის ხალიჩაზეც კაპრიატიმ გაიმარჯვა და, რაც მთავარია, „როლან გაროსის" თიხაზეც, უმძიმეს ფინალურ მატჩში. ანგარიში 1:6, 6:4, 12:10 იყო.

„რევანშის აღებას მთელი გულით ვეცდები — ამბობს კლაისტერსი — ძნელი საქმეა, რადგან ის კორტზე დიდებულად მოძრაობს და აგრესიაც არ აკლია".

მეორე წყვილია მარტინა ჰინგისი — მონიკა სელეში. აქ ბევრი კომენტარი არ უნდა, მივმართოთ მხოლოდ სტატისტიკას — ადრეული 16 ბრძოლიდან ჰინგისმა 12 მოიგო. იმ 16 თამაშიდან 7 სხვადასხვა ტურნირის ფინალი იყო.

**დავით გულუა**

| მეოთხედფინალი |
|---|
| **ვაჟები** |
| ტომი ჰაასი (7, გერმანია) — მარსელო რიოსი (ჩილე) 7:6 (7:2), 6:4, 6:7 (2:7), 7:6 (7:5) |
| მარატ საფინი (9, რუსეთი) — უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) 5:2 (ტრავმა) |
| **ქალები** |
| ჯენიფერ კაპრიატი (1, აშშ) — ამელი მორესმო (7, საფრანგეთი) 6:2, 6:2 |
| კიმ კლაისტერსი (4, ბელგია) — ჟიუსტინ ენენი (6, ბელგია) 6:2, 6:2 |



REUTERS მელბურნიდან

ჯენიფერ კაპრიატი ფინალისკენ მიიწევს, შარშანდელი უნდა გაიმეოროს

## ამბავ-ხაბარი



REUTERS მელბურნიდან

მარსელო რიოსი

### ქალი კარგია მეოთხედფინალში

**მარსელო რიოსმა** ცოლი მოიყვანა, ბავშვი შეეძინა, ხასიათი გამოუკეთდა, ათამაშდა და ასე შემდეგ — ამგვარ ამბებს ბოლო დროის პრესაში ხშირად ნახავთ, მაგრამ ჩილელ ყოფილ პირველ ჩოგანს თამამი აზრების გამოთქმა არ შეუწყვეტია. მელბურნში რიოსი ქალთა ჩოგბურთის მდგომარეობით დაინტერესდა და თავის დაკვირვებათა შედეგები ერთი ფრაზით შემოფარგლა, მეოთხედფინალამდე ქალების თამაში სასაცილოა და მეტი არაფერიო.

გადაირია სუსტი სქესი. ჯენიფერ კაპრიატი, ვინუს უილიამსი, მარტინა ჰინგისი გაერთიანდნენ და რიოსს ეკვეთნენ. „ვფიქრობ, სიმართლე ყველამ იცის — თქვა კერძოდ კაპრიატიმ — ვთვლი, რომ თვით რიოსის ნათქვამია სასაცილო და ვერ გავიგე, ამით რისი გამოხატვა სურდა". გაისმა აგრეთვე „ულირსი", „უტაქტო" და სხვა მსგავსი სიტყვები, მაგრამ მოულოდნელად რიოსს მხარდამჭერიც გამოუჩნდა, თან არცთუ უბრალო. ავსტრალიის ნაკრების ყოფილი წევრი, დევისის თასზე ნათამაშევი დერენ კეჰილი, რომელიც დღეს „მელბურნ ბროუდშიტის" მესვეტეა. სწორედ მან დაიცვა ვაჟკაცი, ოღონდ კეჰილის სტრიქონები, მხარეთა მორიგებასაც უყრიდა საფუძველს.

„მარსელო სწორია — იუწყება მესვეტე — მას არ უთქვამს, გოგოებმა თამაში არ იციანო, არც — ზედმეტს უხდიანო და არც მათი სიზარმაცე და ჭარბი წონა უხსენებია, როგორც ადრე რიჩარდ კრაიჩეკმა განაცხადა. მან უბრალოდ დააფიქსირა კლასში მეტისმეტი სხვაობა რეიტინგის პირველ ათეულსა და მომდევნო ეშელონებს შორის, რაც ადრეული ეტაპის თამაშებს მეტწილად ინტერესს უკარგავს".

თუნდაც ავსტრალიის ღია პირველობის შედეგებს გადავხედოთ, რიოსი ცამდე მართალი გამოდის, აი, აზრის გამოხატვის ფორმა სხვა საქმეა.

### ყვავილებში დაგვეკარგე ჩუტ...

**თავის** საქმეში ლეიტონ ჰიუიტზე არანაკლებ ცნობილი პიროვნება, ჩოგბურთის მსაჯი უეინ მაკკიუენი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალს ჩუტყვავილას გამო ვერ განსჯის. მაკკიუენმა „დიდი სლემის" პირველი ტურნირის ბოლო 10 ფინალი განსაჯა, ახლა კი ექიმებმა ხალხისგან შორს ყოფნა უბრძანეს. ეს მეორე შემთხვევაა, როცა ბატონების გამო ტურნირს მნიშვნელოვანი ფიგურა გამოაკლდა. თავიდან ლეიტონ ჰიუიტი დაავადდა, მაგრამ მაინც ითამაშა ერთი მატჩი და წააგო.

მელბურნის „ჰერალდ სანის" ცნობით, მაკკიუენს უქეიფობა პირველ წრეში უგრძვნია, 15 იანვარს, ენდი როდიკის და მარიანო ზაბალეტას მატჩისას. ახლა მსაჯი აცხადებს, თავს ჩინებულად ვგრძნობ და ჩემს სტიქიაში, ანუ მსაჯის სკამისკენ გამიშვითო, მაგრამ ტურნირის ოფიციოზის განცხადებით, წლევანდელ პირველობაში ეს აღარ მოხდება.

„უეინი გამოჯანმრთელდა თუ არა, ამას მნიშვნელობა არა აქვს — თქვა „აუსტრალიან ოუფენის" მთავარმა მსაჯმა, პიტერ ბელინჯერმა — მან ტურნირის მნიშვნელოვანი ნაწილი გამოტოვა და ჩვენც სხვა პროფესიონალებს ვუხმეთ".

იმავე გაზეთის ცნობით, ორ ავადმყოფს (ჰიუიტს და მაკკიუენს) ერთმანეთთან კონტაქტი არ ჰქონიათ.




# ჩხუბი თეატრის სცენაზე

## ტაისონი და ლუისი ერთმანეთს დაერივნენ

## სულეიმანს ვინ დაარტყა, ბიჭო!



ლენოქს ლუისისკენ მავალ მაიკ ტაისონს ბრიტანელის დაცვის ბიჭები გადაეღობნენ და ჩხუბიც დაიწყო

REUTERS ნიუ იორკიდან





ლენოქს ლუისის მარჯვენამ მაიკ ტაისონის მარცხენა წარბი გახეთქა

REUTERS ნიუ იორკიდან

**სამშაბათს** მორიგი საკრივო ბლლარტუნი გაიმართა. უკვე გამოცხადებული ლენოქს ლუის — მაიკ ტაისონის საჩემპიონო ორთაბრძოლა, რომელიც 6 აპრილს ლას ვეგასშია დანიშნული, ეგებ ჩაიშალოს კიდეც.

მეტოქეთა პირველი პრესკონფერენციის წინ, რომელიც ნიუ იორკში, ჰადსონის თეატრის სცენაზე უნდა გამართულიყო, ჩხუბი მოხდა. წესის მიხედვით, ტაისონი, როგორც საბჭოს (ვბკ) ქამრის პრეტენდენტი, სცენაზე ელოდა ჩემპიონ ლუისს. ლუისი შევიდა და დათქმულ ადგილას გაჩერდა. ბრიტი დაინახა თუ არა, „რკინის მაიკი" მისკენ დაიძრა, მიუახლოვდა და ჩხუბიც ატყდა. ტაისონმა მარცხენა ჰუკი მოიქნია, ლუისმა კი მარჯვენა ჯებით უპასუხა. ჩხუბში ორივეს მცველ-ძმაკაცებიც ჩაერივნენ. ტაისონი ფრიად უხერხულ ადგილზე მიუთითებდა ლუისს.

როცა მოჩხუბრები ერთმანეთს დააცილეს, ტაისონს მარცხენა წარბთან სისხლი ეშჩნეოდა, ლუისს კი იმ თავის ძვირიანი კოსტუმის სახელო შემოხეოდა.

პრესკონფერენცია სასწრაფოდ გადაიდო და სკანდალიც დაიწყო. ლას ვეგასის „ემჯიემ გრანდის" დარბაზის უფროსობა, რომელმაც 12 მილიონი დოლარი გაიღო, ამ ბრძოლისთვის ემასპინძლა, სრულ პანიკაშია. თუნდაც იმიტომ, რომ ნევადის შტატის ათლეტთა საქმეების კომისიას 29 იანვრისთვის დაუბარებია ტაისონი, რათა გაესაუბროს და დაადგინოს, ამ კაცს ისევ ხომ არ აუფრენია. ამ კომისიამ ერთხელ უკვე ჩამოართვა საკრივო ლიცენზია ტაისონს, როცა ეს უკანასკნელი ევანდერ ჰოლიფილდის ყურის მოჭმაში ამხილა მთელმა მსოფლიომ.

აღშფოთებულია საბჭოს ხელმძღვანელობაც. ამ დაწესებულების პრეზიდენტი, 70 წლის მოხუცი ხოსე სულეიმანი ჩხუბში მოჰყვა და მოხუცის პირობაზე გვარიანადაც შეილანძა. მისმა შვილმა, საბჭოსავე ვიცე-პრეზიდენტმა მაურისიო სულეიმანმა ცხელ გულზე განაცხადა, ოხრადაც დარჩეს ამნაირი ფული, თუ ვიღაც ნაძირალები მოხუცს ხელს ჰკრავენ და კნუტივით მოისვრიანო. ასეა თუ ისე, ამ დღეებში საბჭოს უფროსობა შეიკრიბება და იმსჯელებს, უნდა თუ არა დიდი შერკინების ჩატარება.

ლუისის ბანაკი აცხადებს, რომ ტაისონი ფსიქოლოგიურად ვერ არის მზად ამ ბრძოლისთვის და მის ჩასაშლელად ყველაფერს აკეთებს. „მას გონებრივი პრობლემები აქვს" — თქვა ჩემპიონის წარმომადგენელმა.

ტაისონს კი სხვა ვერსია აქვს:

„ეგ ყველაფერი მოგონილია. შეთანხმებული ვიყავით, რომ როცა ლუისი სცენაზე შემოვიდოდა, მისკენ დავძრულიყავი. ასეც მოვიქეცი. ამან ლუისის მცველი შეაშინა და წინ გადამეღობა. ხელი ვკარი და ჩხუბიც ატყდა. მე ხელები გაქირავებული კი არ მაქვს". ვიდეოფირზე მართლაც სწორედ ის ჩანს, რასაც ტაისონი გვიამბობს, მაგრამ არ ისმის სიტყვები, რომელიც ჩხუბამდე წამოისროლა მსოფლიოში ყველაზე ცუდმა ბიჭმა.

ფაქტი კი ერთია, წინასაბრძოლო გარჩევები კვლავ შემოვიდა მოდაში. ხომ გახსოვთ, შარშანდელ შემოდგომაზე როგორ დალეწეს ერთმანეთი და „იესპიენის" სტუდია იმავ ლუისმა და მაშინდელმა ჩემპიონმა ჰასიმ რაჰმანმა?

**ალბერტ ხაჩატურიშვილი**



ცუდი ბიჭის ცუდი საქციელი





ბობა კვინიხიძე

# ბობაც გაფრანგდა

**თბილისის** „ლოკომოტივის" გარენახევარმცველი და რკინიგზელთა ერთ-ერთი ლიდერი ბობა კვინიხიძე საფრანგეთში გააგრძელებს კარიერას. 24 წლის მორაგბეს ფრანგული ელიტარული ლიგის „კასტრმა" დაადგა თვალი. ფრანგებმა საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში გამზადებული კონტრაქტიც გამოგზავნეს, კვინიხიძესაც ბევრი არ უფიქრია და „კასტრს" ერთი წლით დაუკავშირა ბედი.

შეგახსენებთ, რომ „კასტრში" ბორჯღალოსანთა შერკინების ბურჯი ლევან ცაბაძე თამაშობს. მანამდე ცაბაძის მხარდამხარ ეროვნული ნაკრების მე-10 ნომერი პალიკო ჯიმშელაძეც თამაშობდა, მაგრამ შოტლანდიელ ვარსკვლავთან, გრეგორ თაუნსენდთან კონკურენციას ვერ გაუძლო და გუნდის დატოვება მოუხდა.

ბობა კვინიხიძისთვის „კასტრი" მეორე უცხოური კლუბი იქნება. ჩვენებური შარშანწინ კრასნოიარსკის „კრასნი იარში" „ლოკომოტივიდან" გადავიდა და ციმბირულ კლუბთან ერთად რუსეთის ჩემპიონატი მოიგო. კვინიხიძეს არც საქართველოში დაჰკლებია ტიტულები. რკინიგზელთა დამრტყმელი ორგზის ჩემპიონი და თასის მფლობელია.

ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი ერთ დროს ეროვნულის კანდიდატიც იყო, თუმც ქვეყნის პირველი გუნდის მაისურა ერთხელაც ვერ მოირგო.

ქართველი მორაგბე საფრანგეთში დღეს გაემგზავრება და თავის ახალ კლუბს შეუერთდება.

**ბაჩო სვანიძე**

# ზამთრის სიცივე რაია, ვარჯიშს შეუდგა აია

**ჯერ** კიდევ საკავშირო და მერე ეროვნულ ჩემპიონატში დიდ გამარჯვებებს ნაჩვევ „აიასთვის" წინა სეზონში მიღწეული ვერაფერი ნუგეში იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება. უმაღლეს ლიგაში ახალდაბრუნებულმა, უმეტესად გამოუცდელი მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა გუნდმა იმდენი მოახერხა, საუკეთესო ოთხეულში შეაღწია და, ცოტა იღბალიც რომ ჰქონოდა, ალბათ, პრიზიორობასაც გამოჰკრავდა ხელს. ასე იყო თუ ისე, „აიამ" შარშან ღირსეული მეტოქეობა გაუწია ჩემპიონატის ფავორიტებს და ახალ სეზონშიც არავის დააჩაგვრინებს იოლად თავს. ამგვარი დასკვნის საბაბი კი ნამდვილად არსებობს.

სხვა უმაღლესლიგელების რა მოგახსენოთ და, ქუთაისური გუნდი უკვე შეუდგა ჩემპიონატისთვის მზადებას. „აია" არც სიცივეს შეუშინდა, არც უშუქობას და სხვა პრობლემებს და გუშინ „ლოკომოტივის" სამძლეოსნო მანეჟში პირველად შეიკრიბა სავარჯიშოდ.

აი, რა გვითხრა გუნდის თავკაცმა დიმიტრი ფულარიამ:

— „აიას" წლეულს უკეთესად გამოსვლა შეუძლია და გუნდმა ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვას, რაც ადრე დავიწყებთ წვრთნას, მით უკეთესი.

იმედიანად ვართ. გვპირდებიან, რომ სულ მალე „აიას" ნამდვილი პატრონი გამოუჩნდება და მატერიალურად ძველებურად აღარ გაუჭირდება. მართალია, რამდენიმე მოთამაშე აპირებს გუნდის დატოვებას, მაგრამ ძირითად ბირთვს ალბათ შევინარჩუნებთ. „აიას" წლეულს ფარმკლუბიც ეყოლება, რომელიც პირველ ლიგაში ითამაშებს და 1983-1984 წლებში დაბადებული ბიჭებით იქნება დაკომპლექტებული.

მანეჟში დაახლოებით ერთ თვეს ვივარჯიშებთ. ფიზიკურად მოვემზადებით. მერე, თუ შესაძლებლობა მოგვეცა, ქალაქგარეთაც მოვაწყობთ შეკრებას.

გუნდის გაწვრთნაში ისევ ზაზა თხელიძე და სოსო დიაკონიძე დამეხმარებიან. შესაძლოა, ნუგზარ ძაგნიძემაც იმუშაოს ჩვენთან ერთად...

**იუზა ძაძიტაძე ქუთაისიდან**



ნუგზარ ძაგნიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ცხოვრების რეცეპტი გეწყინა, გტკივა? ითამაშე!



REUTERS ლაშა

ლეიკერსი — დენვერი. დენვერელებმა კობი ბრაიანტი არ ანავარდეს

**22 იანვარი**

**მაიამი 92:79 ჩიკაგო**

**მაიამი:** სტრიკლენდი (20), ჯონსი (20), გილი (6), გრანტი (6), მურნინგი (17); ჯეკსონი (12), ელისი (9), სტეფანია (16 წუთი, 2 ქულა, 4 მოხსნა, 1 დაფარება, 1 ჩაჭრა), ჯეიმსი

**ჩიკაგო:** ოლი (7), მერსერი, არტესტი (24), ოკლი (4), მილერი (19); რობინსონი (9), ფიზერი (6), მასელი (5), ჰოიბერგი (3), კარი (2)

თუ „მაიამი ჰითმა" ზედიზედ ხუთი თამაში მოიგო, მათ შორის ორი ოვერტაიმიანი და კიდევ უფრო გაუტეხა სახელი განთქმულ „ლეიკერსს", მისგან ზედიზედ მეექვსე გამარჯვება ვის უნდა გაჰკვირვებოდა? არც არავის გაკვირვებია. „მაიამის" ხომ მეტოქედ „დაკოდილი" „ხარები" ჰყავდა.

დიახ, პატ რაილის ბიჭებმა ზედიზედ მეექვსედ მოიგეს და თუ მოულოდნელ შედეგებზე მიდგა საქმე, გასაოცარი ის უფროა, რომ მანამდე 34 შეხვედრიდან 26 წააგეს.

ახლა „ჰითმა" უკან მოიტოვა „ატლანტა" და აღმოსავლეთში მეთორმეტე ადგილზე ანაცვლებული „მოსისხლე" „ნიუ იორკს" წამოეპარა, რომელიც ახალ მწვრთნელ დონ ჩეინის ხელში სულს ღაფავს და პლეი ოფისკენ უიმედო თვალებით იმზირება.

„ჩიკაგოსთან" შეხვედრაში პატ რაილიმ 16 წუთი ათამაშა შეგირდთა შორის ყველაზე მაღალი, 213-სანტიმეტრიანი ვლადიმერ სტეფანია. ობიექტურობა მოითხოვს და ვერ ვიტყვით, რომ ვოვამ ბოძებული დრო მაქსიმალურად გამოიყენა. ჩვენებურმა ვერ გაილაღა შეტევაში, თამაშში სამივე სროლა აცილა, ხოლო საჯარიმოს ხაზზე ორჯერ მდგარმა ოთხი შესაძლებლიდან ორჯერ ჩააგდო. ქართველი ოდნავ უკეთ გაისარჯა საკუთარი ფარის დაცვისას.

„ის თამაშიდან თამაშამდე უმატებს" — რაილის ეს სიტყვები სტეფანიას მისამართით არ უთქვამს. „ჰითის" მწვრთნელი გამთამაშებელ როდ სტრიკლენდს გულისხმობდა, 35 წლის ჩამავალ ვარსკვლავს, რომელსაც ძალიან სურს, ბოლო გაელვებებით ხალხს თვალი მოსჭრას. რაც „მაიამის" მაისურა მოირგო, სტრიკლენდმა საუკეთესო მატჩი ჩაატარა და სეზონში უმეტესი, 20 ქულაც მოაგროვა. გარდა ამისა, უწინ ჭირვეულობით განთქმულმა, აწ კი (როგორც ჩანს) მკაცრი პატ მასწავლებლის ხელში მოჭკვიანებულმა ექვსი პასიც მიითვალა, კარიერაში სულ 7217 დაუგროვდა და ნბა-ს ყველაზე მარჯვე მეპასეთა სიაში საპატიო მეექვსეადგილოსანი ლენი ვილკენსი (დღეს „ტორონტოს" მწვრთნელი) ჩამოიტოვა.

სტრიკლენდს კუთვნილი მივაგეთ და ნურც ძველ ლიდერებს — ედი ჯონსს და ალონზო მურნინგს დავუკარგავთ გარჯას. ამ ორმა სამ-სამი ქულა გააზერხა მატჩის ბოლოს-წინა წუთზე, როცა ვითომ უფხო „ჩიკაგო" სახიფათოდ, სამი ქულით დაუახლოვდა მთელი მატჩის განმავლობაში დიდი უპირატესობით წინ მყოფ „მაიამის". რაილიმ განსაკუთრებით მურნინგის სიჩაუქე აღნიშნა — გულს უხარია, თვალი ძველებურად ყოჩაღ „ზოს" რომ ხედავს. ის თანდათან იბრუნებს ფორმას და მალე, როგორც ადრე, აღმოსავლელ ცენტრებში გამეფდებაო.

„მაიამი" მომდევნო შეხვედრას 24 იანვარს გამართავს ფლორიდისვე მკვიდრ „მეჯიქთან" მეზობელ ორლანდოში.

**ვაშინგტონი 84:91 ფილადელფია**

**ვაშინგტონი:** ჯორდანი (30), ლუ (19)

**ფილადელფია:** აივერსონი (34), სნოუ (19 ქულა, 9 პასი, 8 მოხსნა), მაკვი (18)

**ლეიკერსი 91:107 დენვერი**

**ლეიკერსი:** ონილი (40 ქულა, 11 მოხსნა), ბრაიანტი (15)

**დენვერი:** ლენარდი (29), ფოუზი (23), ვან ექსელი (17 ქულა, 12 პასი)

**პორტლენდი 116:110 საკრამენტო**

(ძირითადი დრო 100:100)

**პორტლენდი:** ველსი (34 ქულა, 12 მოხსნა), ვოლესი (33 ქულა, 15 მოხსნა), დევისი (17 ქლა, 12 მოხსნა)

**საკრამენტო:** ვებერი (34 ქულა, 8 მოხსნა, 8 პასი), ბიბი (27), სტოიაკოვიჩი (21)

**სან ანტონიო 86:92 ნიუ ჯერსი**

**სან ანტონიო:** დანკანი (32 ქულა, 14 მოხსნა), დანიელსი (18), რობინსონი (16)

**ნიუ ჯერსი:** კიდი (28 ქულა, 11 მოხსნა), ვან ჰორნი (17)

**მილუოკი 81:92 ფინიქსი**

**მილუოკი:** კასელი (24), რედი (16)

**ფინიქსი:** მარიონი (24 ქულა, 17 მოხსნა)

**ორლანდო 100:86 ატლანტა**

**ორლანდო:** გარიტი (23)

**ატლანტა:** მოტოლა (14), ვონი (14)

**ჰიუსტონი 107:113 დალასი**

**ჰიუსტონი:** მობლი (35), ფრენსისი (25), გრიფინი (19)

**დალასი:** ნეში (31 ქულა, 10 პასი), ნოვიცკი (25), ჰოვარდი (19 ქულა, 13 მოხსნა)

22 იანვარს ნბა-ს სენსაციების ტალღამ გადაუარა და არაერთი ბობოლა ჩაყლაპა. ჩაიყლაპა (უკვე მერამდენედ) მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონიც", თუმც დედაქალაქელთა მარცხს არავინ გაუოცებია, რადგან მეტოქედ „ფილადელფია" ჰყავდა, შარშანდელ ფინალში ნათამაშევი და წლევანდელშიც მოხვედრის მსურველი გუნდი.

„ფილადელფიამ" ცხრილის მეზობელს მოუგო და ახლა წაგებაზე ერთით ნაკლები მოგება აქვს, მოგება-წაგების ასეთივე ბალანსი გამოუვიდა „ვაშინგტონსაც", მაგრამ ცხრილში მძლეველ „ფილადელფიას" ზურგსუკან მოექცა, რადგან ერთი გამარჯვებით ჩამორჩება.

მატჩი კი გვარიანად თვალსასეირო გამოდგა, რადგან მოედნის ორ კალათს ერთი მხრივ მაიკლ ჯორდანი ბომბავდა, მეორეს მხრივ, ეგრეთ წოდებული ახალი მაიკლ ჯორდანი, ალენ აივერსონი. ახალმა სულ ოდნავ აჯობა ძველს და ახლის თანაგუნდელებმაც ძველისაზე ცოტა მეტი მარიფათი გამოიჩინეს, თუმც კი ჯაბანნი არც დამარცხებულები იყვნენ, განსაკუთრებით პირველ ნახევარში.

პირველი ტაიმი მთლიანად ჯორდანისა იყო. დიად მაიკლს საკმარისი საბაბი აქვს, კარგად ითამაშოს. იგი ბურთაობას მოედანზე და ცხოვრებაში შემთხვეულ უსიამოვნებათა დავიწყების უებარ წამლად მიიჩნევს და არც ტყუილად. ამიტომ მაიკლმა პირველი წუთებიდანვე ჭაბუკური გზნებით გამოიდო თავი და სანამ დიდი შესვენება მოატანდა, 28(!) ქულა მიითვალა.

ისე კი, მაიკლს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გამოეპარა. ის 38 წლისაა (ორიოდ კვირაში 39-ის სრულდება) და არა 25-ის და რომ მის ასაკში ძალებს გაფრთხილება სჭირდება. 28 ქულა ჰაერიდან არ ჩამოვარდნია, მის მოსანაგრებლად გვარიანი შრომა დასჭირდა, ჰოდა, მეორე ტაიმი რომ დაიწყო და ფილადელფიელებმა მას ორი მეთვალყურე მიუჩინეს, აღმოჩნდა, რომ არაქათი გასცლოდა. აი, შედეგიც — მეორე ტაიმში მან რვაჯერ ისროლა, ერთის გარდა ყველა აცილა და საპირველტაიმო შენაძენს ორი ქულაღა მიამატა.

სამაგიეროდ, დიდი შესვენების შემდეგ სულ გადაირია სტუმარი აივერსონი და ჯორდანიანთ დაცვას დიდი ჯაფა დაადგა. აივერსონმა მაინც გააკეთა თავისი საქმე, მეორე ტაიმში თავისიანებს 22 ქულა შეაწია და მისი წყალობით 26:16-ით მოგებული მესამე მეოთხედით სტუმრებმა მატჩის ბედიც გადაწყვიტეს.

ფილადელფიელ მეტ ჰარპრინგს, რომელიც იმ საღამოს ჯორდანის მთავარი მეურვე გახლდათ, ებრალება დედაქალაქელები: „მათ ძალიან ცუდი კალენდარი აქვთ. ჯერ არ ყოფილან დასავლურ ტურნეზე (ოჰ, როგორ ეშინიათ აღმოსავლელებს მისისიპის გაღმა გასვლის), არ მოულევიათ ბევრი მძიმე თამაში. კარგია, რომ ჩვენ ეს გავიარეთ დეკემბერში და ახლა გაცილებით იოლად გვაქვს საქმე".

ამასობაში კი, სანამ ორი აღმოსავლელი კალათბურთის ვაშინგტონელ ტრფიალთ ლაღი თამაშით ატკბობდა, ქვეყნის საპირისპირო კიდეზე, ანგელოზთა ქალაქში დიდი სენსაცია გამოცხვა. ისე კი, „დენვერის" მიერ „ლეიკერსის" ძლევას იქნებ არც ეთქმის სენსაცია, იმდენად მიეჩვია ლოსანჯელესელი გულშემატკივრობა საყვარელი გუნდის წაბორძიკებას. „ლეიკერსს" ვერც შაკილ ონილმა უშველა, რომელმაც ჩიკაგოელ ბრედ მილერზე მუშტით გაწევისთვის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. „დენვერის" აფეთქების გარდა „ლეიკერსის" მარცხი იქნებ მხოლოდ 15 ქულის ჩამგდებ კობი ბრაიანტსაც დავაბრალოთ, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ამ გუნდში კობის და შაკის გარდა ათი კაცი თამაშობს და ვერც ერთმა მათგანმა ვერ ჩაუგდო უხეირო მეტოქეს თუნდაც ათი ქულა.

პორტლენდში შეფერხდა საკრამენტოელი „მეფეების" ტრიუმფალური სვლა. „მეფეებმა" ზედიზედ თორმეტ მეტოქესთან ბრძოლაში ისახელეს თავი და მეცამეტე, ოვერტაიმიან შერკინებაში გადაუტყდათ ხმალი. პორტლენდელმა ბონზი ველსმა კარიერაში უმეტესი, 34 ქულა, ხოლო მისმა თანაგუნდელმა რაშიდ ვოლესმა აგრეთვე კარიერაში უბევრესი ექვსი სამქულიანი ჩააგდეს.

ზემოთ აღმოსავლელები დასავლელებთან მიმართებაში აუგად კი მოვიხსენიეთ, მაგრამ არ იქნება, არ ვთქვათ — ჯერჯერობით აღმოსავლელებში საუკეთესო „ნიუ ჯერსიმ" დასავლეთის (უფრო კი სამხრეთის) მშვენება „სან ანტონიო" მისსავე მოედანზე დასცა. აღმოსავლელებმა ხურდაც გვარიანი მიიღეს, ფინიქსელებმა მილუოკიში იქაური „ხარირმები" „დახოცეს".

**ირაკლი ფირაშვილი**

## ევროკალათა

**რუსმა** ფორვარდმა, ანდრეი ფეტისოვმა სამიოდ თვის წინ მოსკოვის ცსკა იმიტომ დატოვა, რომ კვლავ იქ დაბრუნებულიყო. ერთი თვე არ არის, რაც ფეტისოვი ვროცლავის „შლიონსკმა" დაითხოვა, გუშინ კი მან სეზონის ბოლომდე კონტრაქტი კვლავ არმიულ კლუბთან გააფორმა.

„მე სტაბილურობა მჭირდება — აცხადებს ფეტისოვი — ჩემმა ყოფილმა პოლონურმა კლუბმა ოთხ თვეში სამი მწვრთნელი და ოთხი მოთამაშე გამოიცვალა. ეს მეტისმეტია, გუნდი თავის თავს ვერ პოულობს. ვფიქრობ, ჩემი ცსკა-ში დაბრუნება ფეხბედნიერი იქნება. კვირის ბოლოს მოსკოველებს შევუერთდები და არაფერს დავიშურებ, რათა ჩემი გამოცდილება და ძალები გუნდს მოვახმარო".

„შლიონსკმა" კი გუშინ კიდევ ერთი კალათბურთელი შეიმატა. 23 წლის ფრანგი გამთამაშებელი ისმაილ სი პირველი დასავლეთევროპელი იქნება პოლონური ლიგაში.



ანდრეი ფეტისოვი

**პერმის** „ურალ გრეიტმა" ლიტველი ფორვარდი ვირგინიუს სირვიდისი დაითხოვა. ახალწვეულმაც არ დააყოვნა: ურალელებმა კონტრაქტი 28 წლის ბერძენ პანაგიოტის ლიადელისს გაუფორმეს, რომლის დებიუტი რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში ცსკა-სთან მოსკოვში შედგა. სტუმრებმა 100:95 გაიმარჯვეს.

**ევროლიგის** ბოლო ტურში ესპანურ „უნიკახასთან" გამარჯვებამაც ვერ იხსნა ელიას ზუროსი — იგი „ოლიმპიაკოსის" მწვრთნელი აღარ არის. პირეოსელი ფანები საბერძნეთის ჩემპიონატში უსახური თამაშის გამო ზუროსს დიდი ხანია, ალმაცერად უყურებდნენ. მოთმინების ფიალა კი ბოლო ტურში აეკ-თან საშინაო მარცხით აევსოთ. „ოლიმპიაკოსის" პრეზიდენტმა სოკრატის კოკალისმა ზეწოლას ველარ გაუძლო, ზუროსი დაითხოვა და გულშემატკივრებიც დააცხრო. მის შემცვლელად კი სახელიანი სპეციალისტი, სლოვენიის ნაკრების ამჟამინდელი მწვრთნელი სლობოდან სუბოტიჩი მიიწვია.

„ოლიმპიაკოსის" მწვრთნელობა ჩემთვის დიდი პატივია. ეს მაღალი ამბიციების გუნდია საბერძნეთსა და მთელ ევროპაში. მე ყველა მისი კალათბურთელის მჯერა. ვფიქრობ, ნაყოფიერი მუშაობით ჩვენ შევძლებთ, „ოლიმპიაკოსის" ყველა ამსეზონურ ოცნებას ხორცი შევასხათ" — აცხადებს სუბოტიჩი.

სლოვენიელი, ვისაც აქამდე ექვსი ბერძნული კლუბი — პაოკი, „არისი", „პანიონიოსი", „პანათინაიკოსი", აეკი და „ირაკლისი" უწვრთნია, „ოლიმპიაკოსს" ოფიციალურად 28 იანვარს ჩაიბარებს, როცა გუნდის წევრები თავ-თავიანთი ნაკრებებიდან დაბრუნდებიან.

**მადრიდის „რეალი"** აღარ გაუგრძელებს კონტრაქტს ბელგიელ გამთამაშებელ ჟან ხაუმინს. როცა შარშან გაირკვა, ერთ-ერთი ლიდერი რაულ ლოპესი ექვსი თვე ვერ ითამაშებდა, „რეალმა" ამა წლის 19 ნოემბერს ბელგიელთან ორთვიანი კონტრაქტი გააფორმა შესაძლო გახანგრძლივების პირობით. მას შემდეგ ხაუმინმა 5 ევროლიგულ მატჩში ითამაშა და საშუალოდ 6,5 ქულას აგროვებდა.

ესპანელები იტალიურ „როზეტოში" მობურთალი გამთამაშებლით, სტეფანო ატრუილათი დაინტერესებულან და დიდი შანსია, იგი „რეალში" ვიხილოთ. მით უმეტეს, რომ მათ ძირითადი იუგოსლავიელი უკანახაზელი საშა ჯორჯევიჩი ჩემპიონატის ბოლო ტურში დაუშავდათ.

**პოდგორიცას** „ბუდუჩნოსტის" მთავარი მწვრთნელი მიოდრაგ კადია, მას შემდეგ, რაც გუნდმა შაბათს ადრიატიკის ლიგის ზედიზედ მესამე მატჩი წააგო, დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს თანამდებობიდან.



მიოდრაგ კადია

პოდგორიცელებმა ევროლიგის შემდგომ ეტაპზე თამაშის შანსი დიდი ხანია, დაკარგეს და როცა ადრიატიკულ ლიგაშიც იგივე საფრთხე დაემუქრათ, კლუბის ხელმძღვანელობამ ახალ თავკაცზე დაიწყო ფიქრი. შესაძლო მხსნელს ორ დღეში მიაგნეს.

39 წლის დარკო რუსო კალათბურთელობისას იუგოსლავიის ჩემპიონი სამჯერ ყოფილა. სანამ „ბუდუჩნოსტს" ჩაიბარებდა, იგი იუგოსლავიურ „ჰემოფარმს" წვრთნიდა და კორაჩის თასის ჯგუფური ეტაპიდანაც გაიყვანა. წინა სეზონში კი ბელგრადის „პარტიზანს" მოძღვრავდა, რომელიც მის ამჟამინდელ კლუბთან იუგოსლავიის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში დამარცხდა.

რუსოს სამწვრთნელო კარიერის მწვერვალი იუგოსლავიის 22-წლამდელთა ნაკრების 1997 წლის მსოფლიოს ჩემპიონობაა; პატივი კი პირველ ნაკრებში ჟელკო ობრადოვიჩის ასისტენტობა.

ეს „ბუდუჩნოსტის" მესამე მწვრთნელია, რომელიც გუნდს ევროლიგის დაწყების შემდეგ უთავკაცებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატი
მოსკოვი. 16-28 იანვარი

ვასილი ივანჩუკი (2.5) — რუსლან პონომარიოვი (4.5)



# ჩემპიონის პოზიცია: საუკეთესო დაცვა თავდასხმაა

**8 პარტია** საჭირო აღარ გახდა, რუსლან პონომარიოვმა შვიდიც იკმარა ფიდე-ს ფინალური მატჩის მოსაგებად. ბოლო პარტიაში ივანჩუკმა ერთხელაც გამოცვალა სადებიუტო ინსტრუმენტი და კვლავ ამაოდ. ალიოხინის დაცვა ივანჩუკის მდგომარეობას და განწყობას ერთობ ასახავდა. ეს დებიუტი იშვიათია თანამედროვე ჭადრაკში და შავებს იქნებ იმედი ჰქონდათ, მეტოქე აიბნევა და რაღაცას გამოვრჩებითო.

ალიოხინის დაცვაში შავების პრინციპი მარტივია. ისინი (ძირითადად მხედარი) თეთრ პაიკებს გამოიტყუებენ ხოლმე (არის ვარიანტები, როცა 4 თეთრი პაიკი უტევს), მერე კი მათი წყობის დანგრევას ცდილობენ. უკვე მე-4 სვლიდან ივანჩუკი გამართლებული ქაოსის ფორმირებას შეუდგა, რაზეც პონომარიოვმა უპასუხა მეტად გაბედული სვლით, შესწირა პაიკი და მეტოქის ქვეითი ჯარი აბნია. ინიციატივა უცებ თეთრების გახდა და პონომარიოვის მოქმედება გამართლებული იყო: არ შეიძლება სტატისტად დგომა და ყაიმზე თამაში, როცა ივანჩუკს ებრძვი.

თეთრების უპირატესობა მალე კიდევ გაღვივდა. მე-12 სვლისთვის ისინი უტევდნენ მეფის ფრთას და ამ უბანზე კარგა დიდი ძალები ჰყავდათ. ივანჩუკმა სწორი სვლები კი გააკეთა, მაგრამ პონომარიოვმა ნელ-ნელა მაინც მოახერხა ბურუსის გაფანტვა, გაცვალა ლაზიერები და ბრძოლის სიმძიმე გადაიტანა ლაზიერის ფრთაზე, სადაც მისი უპირატესობა ასევე იგრძნობოდა. 22-ე სვლით პონომარიოვმა მეორე იერიში დაიწყო და წამსვე ყაიმი შესთავაზა მეტოქეს. ივანჩუკი მშვენივრად ხედავდა დაფაზე ნაჩვენებ პოზიციაში მოგებაზე თამაშის უაზრობას და დათანხმდა. ეს იყო ფიდე-ს მე-4 მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო პოზიცია.

**დავით გულუა**





ფიდეს ახალი ჩემპიონი, რუსლან პონომარიოვი



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი



რეინჯერსელმა მეკარემ მაიკ რიხტერმა შერცხვენილი უმცროსი კოლეგა დენ ბლექბერნი შეცვალა და დაამშვიდა

# გატეხილი ბიჭი

22 იანვარი

**აილენდერსი 4:5 რეინჯერსი 4:3 0:1 0:1**
**0:1 სამუელსონი (3), 1:1 პეკა (4), 2:1 ისბისტერი (5), 3:1 ტარნსტრიომი (7), 4:1 ოკუანი (9), 4:2 მალოტრა (18), 4:3 ფლერი (19), 4:4 მაკენა (28), 4:5 ფლერი (49)**

აილენდერსთან პრინციპული შეხვედრის წინ რეინჯერსის თავკაცებმა გრიპით დაავადებული მაიკ რიხტერი სათადარიგოთა სკამზე დასვეს და კარის დაცვა 18 წლის დენ ბლეკბერნს მიანდეს. ახალბედა მეკარე აქამდე ურიგოდ არ ასპარეზობდა, მაგრამ ამჯერად რატომღაც ძალიან ღელავდა. ორ წუთში მასპინძლებმა სწრაფად გაშვებული შაიბა გაქვითეს და დაწინაურდნენ კიდეც. ორივე გოლი ბლექბერნის სინდისზე იყო, მაგრამ მწვრთნელები ავადმყოფ რიხტერს გაუფრთხილდნენ და მეკარის გამოცვლა დააყოვნეს, რაც მალე მწარედაც ინანეს. აილენდერსელებმა განერვიულებული ბლექბერნი არ დაინდეს და სტუმრები კატასტროფულ მდგომარეობაში ჩააყენეს — 4:1. სწორედ ამ მომენტში გადაწყვიტა „რეინჯერთა" თავკაცმა რონ ლოუმ, ყინულზე რიხტერი გაეშვა.

გამოცდილი გოლკიპერის კარში ჩადგომა და მატჩის გარდასახვა ერთი იყო. მაიკის სასწაულებრივმა თამაშმა მისი პარტნიორებიც გამოაფხიზლა და უკვე პირველი პერიოდის ბოლომდე ანგარიში მინიმუმამდე შემცირდა. მომდევნო ორ მესამედში რიხტერმა მეტოქეთა ყველა ცდა გააუვნებლა, თუმცა მას ორჯერ ძელიც დაეხმარა. თავის მხრივ, სტუმრებმა ორი გოლი გაიტანეს და წლეულს პირველი, მაგრამ ესოდენ დასამახსოვრებელი გამარჯვება იზეიმეს. გამოირჩა ტეო ფლერიც. ოჯახური პრობლემებმა მის თამაშსაც დიდი კვალი დაატყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ფორვარდმა კრიზისი დასძლია და ამჯერად ჩვეულებისამებრ აგრესიულად ითამაშა. მის ანგარიშზე პასი და ორი გოლი იყო, მათ შორის — გამარჯვების. „რიხტერი შეუდარებელი იყო, უმძიმეს მომენტში დაგვეხმარა. იმედია, ახლა მაინც გამოვალთ კრიზისიდან" — ერიკ ლინდროსის სიტყვები, ცხადია, მაიკ რიხტერს ეკუთვნოდა.

**ატლანტა 0:3 ვაშინგტონი 0:1 0:0 0:2**
**0:1 დალინი (17), 0:2 უიტი (47), 0:3 იაგრი (59)**

ხუთი მატჩის გაცდენის შემდეგ იარომირ იაგრის დაბრუნება მეტად დროული გამოდგა. უქმეებზე განცდილი ორი მარცხის შემდეგ ვაშინგტონმა დამაჯერებლად მოიგო. იაგრმა კი არა მარტო გოლი გაიტანა, ულფ დალინსაც დაეხმარა ანგარიშის გახსნაში.

**კალგარი 1:6 ტორონტო 1:1 0:2 0:3**
**1:0 ლოური (13), 1:1 ჰოგლუნდი (20), 1:2 მოგილნი (22), 1:3 მაკეიბი (30), 1:4 ტაკერი (42), 1:5 მოგილნი (40), 1:6 რაიხელი (60)**

ამ მატჩის ბედიც დაშავებული ჰოკეისტის დაბრუნებამ გადაწყვიტა. ალექსანდრ მოგილნის 2 გოლის და პასის წყალობით ტორონტომ ჩვეული შედეგიანობა აჩვენა.

**ფილადელფია 1:1 ოტავა 0:0 1:0 0:1 0:0**
**1:0 რენიკი (25), 1:1 ჰავლატი (48)**

**სამველ ლარიბიანი**

## კვირის მოთამაშე

### რომან ჩეხმანეკი (ფილადელფია)



რა ახლოს იყო ილია კოვალჩუკი თავის პირველ ნჰლურ წოდებასთან! 18 წლის ატლანტელი ვუნდერკინდი მთელი კვირა ბრწყინავდა და განსაკუთრებით ფლორიდასთან ბოლო მატჩში, მაგრამ ლიგის მესვეურებმა მაინც მეკარეს მიანიჭეს უპირატესობა, რაც წლეულს უკვე ტრადიციად იქცა — 16 კვირის რჩეულიდან 9 გოლკიპერია. თუმცა, ფილადელფიის კარის დარაჯმა რომან ჩეხმანეკმა ეს სავსებით დაიმსახურა. კვირის იმ ოთხ მატჩში, რომლებიც „მფრინავებმა" გამართეს, მათ კარს სწორედ ჩეხმანეკი იცავდა და გუნდმა ოთხჯერვე გაიმარჯვა. თავად მეკარემ მხოლოდ 5 გოლი გაუშვა და კვირა კოვალჩუკზე არანაკლებ ეფექტურად დაასრულა. ტორონტოსთან შეხვედრაში მისი გუნდი 3:0 მოგებას კი არა, ამავე ანგარიშით მარცხს იმსახურებდა, მაგრამ ჩეხმანეკმა არაერთხელ იხსნა ფილადელფია და კარიერაში მე-12 შათაუტი მიითვალა. არადა, 30 წლის გოლკიპერი მხოლოდ მეორე სეზონია, ნჰლ-ში თამაშობს, მაგრამ დაგვიანებულ დებიუტს მისთვის ხელი არ შეუშლია, ალმოსავლეთის ერთ-ერთი გრანდის შემადგენლობაში ადგილი დაემკვიდრებინა. სწორედ მისი წყალობაა, „მფრინავთა" დაცვა ლიგაში ერთ-ერთი გაუვალი რომ გახდა.

**საუკეთესო ექვსეული. 14-20 იანვარი**

*რომან ჩეხმანეკი (ფილადელფია, 2); ადრიან ოკუანი (აილენდერსი, 1) — მატიას ოლუნდი (ვანკუვერი, 2); ილია კოვალჩუკი (ატლანტა, 1) — ჯერემი რენიკი (ფილადელფია, 1) — კეიტ ტკაჩუკი (სენტ ლუისი, 2)*



## მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. პირველი ეტაპი (მონტე კარლო)

# სიტროენის საბუთები «ავტოინსპექციაში»



REUTERS მონაკოდან

მონაკოს მთიანეთში ყველაზე სწრაფად „სიტროენმა" იქროლა

**სკანდალურ-სენსაციურად** დაიწყო მსოფლიოს 24-ე ჩემპიონატი რალიში. ყველასთვის მოულოდნელი იყო ახალბედა სებასტიან ლოების გამარჯვება სკანდალური კი ის გახლავთ, რომ 27 წლის ფრანგ პილოტს ახალდაწყებულ კარიერაში მოპოვებული პირველი დიდი პრიზი შეიძლება ჩამოართვან.

თავიდან მოვყვეთ. 14-ეტაპიანი სეზონი ტრადიციულად ევროპის ერთ-ერთი ჯუჯა ქვეყნის, მონაკოს მთაგორიან, ალაგ-ალაგ მოყინულ გზებზე რბოლით გაიხსნა. მონტე კარლოს რალი წლეულს 70-ედ ჩატარდა. მონაწილეებს სამ დღეში 1461 კილომეტრი უნდა გაევლოთ, აქედან 388,8 ჩქაროსნულ მონაკვეთებზე. მაყურებელთა უსაფრთხოების დაცვა სათანადო დონეზე ვერ იდგა. გზაზე გამოფენილი ემოციური გულშემატკივრები ხიფათს რომ არ გადაჰყროდნენ, ყველაზე გრძელი, 37-კილომეტრიანი მეორე სპეცუბანი გაუქმდა.

შარშანდელი პირველობის შემდეგ გუნდების შემადგენლობებში არაერთი ცვლილება მოხდა. მსოფლიოს ჩემპიონებმა — რიჩარდ ბარნსმა და რობერტ რიდმა „სუბარუ" მიატოვეს და ფრანგულ „პეჟოში" გადაბარგდნენ. თუმც იაპონურ კონცერნს ამით ბევრი არაფერი დაუკარგავს — ბარნსის ნაცვლად ოთხგზის გვირგვინოსანი ტომი მაკინენი მიიწვია.

ურთულესი სარბოლო პირობებისა და საკუთარი შეცდომების გამო რბოლას ბევრი ეკიპაჟი გამოაკლდა: სტარტზე გასული 55 წყვილიდან ფინიშამდე მხოლოდ 26 მივიდა.

მშვენივრად დაიწყო ასპარეზობა ვეტერანმა კარლოს საინსმა. 39 წლის ესპანელის „ფორდმა" ყველაზე სწრაფად დაძლია პირველი მონაკვეთი და სათავეში ჩაუდგა რბოლას, თუმცა მცირე ხნით. „მატადორის" მანქანას საჭის გამაძლიერებელი მოეშალა, რამაც ერთბაშად მეხუთე ადგილზე გადაისროლა. ბეწვზე გადარჩა ბარნსი — მოყინულ გზაზე მოსრიალებული „პეჟო" კინაღამ ხრამში გადაიჩეხა. მეოთხე ჩქაროსნული უბნის მოგებით ქარავანს თავში სებასტიან ლოებისა და დანიელ ელენას „სიტროენი" მოექცა. დებიუტანტებმა ურთულესი დისტანცია თითქმის უშეცდომოდ გაიარეს და დიდი უპირატესობით აჯობეს მეორე ადგილზე გასულ მონტე კარლოს სამგზის გამარჯვებულ მაკინენს, მაგრამ მეორე დღეს ისეთი შეცდომა დაუშვეს, შეიძლება პირველობის დაკარგვად დაუჯდეთ: დაზიანებული საბურავი ტრასის აკრძალულ ადგილას შეცვალეს, რის გამოც მსაჯებმა ორი წუთით დააჯარიმეს. „სიტროენის" ხელმძღვანელობამ მაშინვე გააპროტესტა და ვიდრე სააპელაციო ჟიური თავის



REUTERS მონაკოდან

სებასტიან ლოებს შესაძლოა კარიერაში პირველი დიდი პრიზი წაართვან

ვერდიქტს არ გამოაქვეყნებს, ეტაპის შედეგები საბოლოოდ ვერ ჩაითვლება, თუ „სიტროენის" პროტესტი არ დააკმაყოფილეს, გამარჯვება და საამისო ათი ქულა მიეკუთვნებათ მაკინენსა და კაი ლინდსტრემს, რომლებიც ლოების ეკიპაჟს 45 წამით ჩამორჩნენ.

**გია ახალაძე**

### რბოლის შედეგები

| | |
|---|---|
| 1. სებასტიან ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) | 3სთ; 58.44,8 |
| 2. ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) | ჩამორჩა 45,9 |
| 3. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) | 2.01,6 |
| 4. კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 2.43,9 |
| 5. მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 2.53,3 |
| 6. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 3.15,5 |

# შაკის დახეთქება

შაკილი რომ ასე დაეთხლიშება, მიწა იძვრის ხოლმე. ვგებ, სადმე მიძინებული ვულკანიც კი ამოქმედდეს. არ გაგიკვირდეთ და, „დენვერ ნაგეთსმა" 107:91 მოუგო შაკის „ლეიკერსს", იმის მიუხედავად, რომ გოლიათმა 40 ქულა მიითვალა და 11 ბურთიც მოხსნა, მაგრამ ამან საქმეს ვერ არგო.



REUTERS ლოს ანჯელესიდან



REUTERS მანჩესტერიდან

# კვლავ ავღანური ფეხბურთი



REUTERS ქაბულიდან

ოლდ ტრეფორდზე „მანჩესტერ" — „ლივერპულის" თამაშის წინ საუცხოო ფოტო გადაიღეს: მაიკლ ოუენმა, როი კინმა, დევიდ ბექემმა და სემი ჰიიპიამ შუაში ჩაიყენეს ავღანეთიდან შვებულებით ჩამოსული ჯარისკაცი, პოლ კლარკი (შუაშია), კრის პიჩი და გარეტ ბარნინგემი. ამ სამს თურმე განუზრახავს ფეხბურთისკენ შემობრუნებულ ავღანელებთან ამხანაგური თამაშების გამართვა. ავღანეთში კი მართლაც იწყება საფეხბურთო ბუმი. ჯერ არც ფორმებია და არც ბურთები, მაგრამ ქაბულის სტადიონზე, სადაც თალიბები ხალხს ხვრეტდნენ, თამაშია გახურებული. ერთმანეთს ახალშექმნილი კლუბები, „ქაბული" და „მილანი" ხვდებიან.

# კაპრიატი არ ნებდება

ჯენიფერ კაპრიატისთვის ავსტრალიის ღია პირველობა განსაკუთრებული შეჯიბრი გახლავთ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯენიფერს შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა უნევს, ამიტომ ყოველი ტრავმა შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. მეოთხედფინალურ შეხვედრაში, ფრანგ ამელი მორესმოს წინააღმდეგ, კაპრიატის კუნთი დაუზიანდა, მაგრამ თამაში არ შეუწყვეტია და იოლი ანგარიშიც გაახერხა, 6:2, 6:2.



REUTERS მელბურნიდან



REUTERS შელმინგიდან

# თვალები მილულა

ამ ბიჭს, ამერიკელ ბოუდ მილერს არ სძინავს. ეს მთვრალებს ეხერხებათ თოვლში ძილი. ბოუდს ბედნიერებისგან მიულულავს თვალები, ეს წუთია, ღამის სლალომი მოუგია ავსტრიის მთებში, შელმინგში, სადაც მსოფლიო თასის გათამაშება მიმდინარეობს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მია აბზიანიძე, ნათელა გორგიძანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge